# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 სექტემბერი 2001 №176 (1449) | ფასი 50 თეთრი


# ნოდიას ეროვნული გამოცდა ელის



წინა სეზონში დინამოელებს „მერანის" გახედვნა არ გასჭირვებიათ, არჩილ სახვაძემ (შუაში) და მისმა თანაგუნდელებმა ავჭალელებს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს

მეცამეტე ეროვნულის მეშვიდე ტურის ცენტრალურ მატჩს ორშაბათს „ეროვნული" უმასპინძლებს. ევროპაში სირცხვილნაჭამი და შინაც უნიათოდ მობურთალი „დინამო" ჯერაც დაუმარცხებელ „მერანს" დაუხვდება.

ავჭალელებმა ჩემპიონატი ისე დაიწყეს, რომც დამარცხდნენ, ოთარ გაბელიაზე ძვირს ვერავინ იტყვის. დინამოელთა მწვრთნელ გივი ნოდიას საქმე კი ვერაა კარგად. წინა ტურში „ლოკომოტივთან" წაგებას „მერანთან" საშინაო მარცხიც თუ მოჰყვა, არა გვგონია, ათგ ზის ჩემპიონის თავკაცობამ ნოდიას თავზე ხელი გადაუსვას. ერთი სიტყვით, აგერ ჩვენი მეცამეტე ეროვნული და ორშაბათსაც „ეროვნული"...

იხილეთ მესამე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი ეტაპი

## 7 ტური

16 სექტემბერი, კვირა

გორდა
გურია

ბათუმი
კოლხეთი

მეტალურგი
ტორპედო

ვიტ ჯორჯია
სამგურალი

17 აგვისტო, ორშაბათი

დინამო
მერანი

სიონი
ლოკომოტივი

# ეპოქის კაცი ევრაზიულ დერეფანში

## გარი კასპაროვმა ბათუმამდე თბილისში შემოირბინა

იგი 15 წელინადი იყო მსოფლიოს ჩემპიონი და ახლაც უძლიერესი მოჭადრაკეა იმის მიუხედავად, რომ იურიდიულად უკვე ექსჩემპიონია. მისი სარეიტინგო ქულები ათობით აჭარბებს ჩემპიონთა, ვიშვანათან ანანდის და ვლადიმირ კრამნიკისას. იგი არ არის მარტო ჭადრაკის კაცი: თავის დროზე პოლიტიკაში ერია და საბჭოთა კავშირის უხეირობას ქადაგებდა, ახლა სკოლათა მსოფლიოს ჩემპიონატებს აწყობს და ინტერნეტში ერთ-ერთი საუკეთესო ვებგვერდი აქვს, წერს წერილებს თვით „უოლ სტრიტ ჯორნელისთვის" და ყოვლისმცოდნეებად წოდებულებსაც ყველაფერში თავისუფლად შეეტოქება. მოკლედ, გარი კასპაროვს რომ ეპოქის კაცი ვუწოდოთ, არავინ დაგვძრახავს და ეს კაცი გუშინ თბილისში იყო...

დღეს კი ბათუმშია, სადაც ორშაბათიდან ერთხელაც დაიწყებს თავისი მაგიური სვლების კეთებას: ევროპა—აზიის მატჩში კასპაროვი ევროპის ნაკრების პირველ დაფაზე ითამაშებს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



გარი კასპაროვი თბილისის ქუჩებში

# ჯგუფური უფრო მკაცრად ისჯება

## დურსუნიშს ფანიაშვილიც და ორდინიძეც მიაყოლეს

„ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩისას დაშვებული შეცდომების გამო შეხვედრის ინსპექტორ ადიკ დურსუნიშის ერთთვიან დისკვალიფიკაციაზე გუშინწინდელ „სარბიელში“ გამცნეთ. იგივე ბედი ეწიათ ამ შეხვედრის მთავარ არბიტრ ლევან ფანიაშვილსა და სათადარიგო მსაჯ ავთანდილ ორდინიძესაც.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის დისციპლინარული კომისიის სხდომაზე ამ მატჩის გარჩევისას ადიკ დურსუნიშმა აღნიშნა ლევან ფანიაშვილის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები, როცა მან არ დანიშნა ორი პენალტი ჯერ „ლოკომოტივის“, ხოლო შემდეგ „დინამოს“ კარში. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა თამაშის შედეგზე. არბიტრის მიერ დაშვებული შეცდომები ნათლად გამოჩნდა ვიდეოფირზეც. ამის გამო ფანიაშვილმა საკმაოდ დაბალი შეფასება — 5,8 ქულა მიიღო. ავთანდილ ორდინიძემაც უხეიროდ შეასრულა თავისი მოვალეობა: სტადიონზე არ იყვნენ ბურთის მიმწოდებელი ბავშვები, არ იყო ტრავმირებული ფეხბურთელის მოედნიდან გასაყვანი საკაცე და მისი მომსახურე პერსონალი. ასევე მან ვერ აღკვეთა უცხო პირის მიერ „დინამოს“ მწვრთნელ გივი ნოდიასთან შელაპარაკება.

კომისიის წევრებმა დისციპლინარული კოდექსის 3.1 პუნქტის თანახმად, ლევან ფანიაშვილს უმაღლესი ლიგის მატჩების მსაჯობა ერთი თვით აუკრძალეს, ხოლო ავთანდილ ორდინიძე იგივე ვადით სათადარიგო მსაჯობას ველარ გასწევს.

გარდა ამისა, დასჯილები მკაცრად გააფრთხილეს და დაემუქრნენ, თუ ანალოგიური ფაქტები განმეორდა, ამასაც არ დავჯერდებითო.

**ძაბა ზალამბერიძე**



„ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მერე ლევან ფანიაშვილი ერთი თვე უსაქმოდ დატოვეს

# კარი ყელი არ არის, სჯობს გაშრეს

## დავეწიოთ და გავუსწროთ ჩხეიძეს



ნიკა ჩხეიძის მშრალი რეკორდი ჯერაც ხელშეუხებელია

**მეცამეტე** ჩემპიონატის მეექვსე ტური 9 სექტემბერს, „მერან“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩით დასრულდა. თამაშის შემდეგ ავჭალელთა გოლკიპერი რევაზ ნაჭყეპია თავის ტორპედოელ კოლეგას დავით გვარამაძეს გადაეყარა და ორ მეკარეს შორის ნაღვლიანი დიალოგიც შედგა:

— გიხაროდეს, შალვა ხუჯაძემ გოლი გამიტანა.

— შენც გაგიხარდეს, მესხს რა ვუთხარი, რა პენალტი დადო, თორემ უგოლო სერიაში გაგითანაბრდებოდი და მერე რეკორდამდეც ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი.

— კარგი, სხვა დროს ვეცადოთ, მაგრამ მერე ისეთი თამაშებია...

მომავალ რეკორდზე შეთანხმდნენ მეკარეები. ორივე ეროვნულ ჩემპიონატს განშორებულ და რუსეთში მობურთალ ნიკოლოზ ტოგონიძეს ახსენებდა. შვიდი უგოლო მატჩი და რეკორდი ისევ მისიაო. არ დავმალავ, თავად მეც ასე მახსოვდა, რეკორდი თავიდან ზოიძეს ეკუთვნოდა, რომელსაც ტოგონიძემ გადაუსწრო.

მერე რატომღაც ამეკვიატა ეს აზრი და რევაზ შენგელიას წიგნები გადავქექე. რეკორდი, რომელზეც დღეისთვის ჩვენი ჩემპიონატის ყველაზე სტაბილური მეკარეები ლაპარაკობდნენ, თურმე დიდი ხნის დამყარებულია და, ალბათ, კარგა ხანს არც დაემხობა.

მეორე ეროვნულში, 1991 წლის 14 აპრილიდან 21 ივნისამდე, „დინამოს“ (მაშინ „იბერია“ ერქვა) მეკარე ნიკა ჩხეიძეს ზედიზედ 11 თამაშში შეუბღალავად შეუნახავს კარი. ამ დროის მანძილზე „დინამომ“ 12 ტური მოიტოვა უკან, ზოგი მოიგო, ზოგიც ფრედ ითამაშა, ერთხელ კი ოფლდაუღვრელად გამარჯვებაც მიეკუთვნა მეტოქის გამოუცხადებლობის გამო. რა თქმა უნდა, იმ მოგებაში ჩხეიძეს წილი არ ედო და არც ჩათვლია აქტივში.

ნიკა ჩხეიძის უგოლო სერია ვანის „სულორის“ ჭიათურელმა ფორვარდმა, დღესდღეობით ანატოლი მილჩენკოს სამწყსოს წევრმა ჯუმბერ ბუიშვილმა შეწყვიტა. მართალია, „დინამომ“ ის თამაშიც მოიგო, მაგრამ ვანელებმა გოლის გატანა მაინც მოახერხეს.

რეკორდსმენის მონაგარი კი 1077 უგოლო წუთია, არც მეტი და არც ნაკლები. ცდა ბედის მონახევრეაო, თქმულა. ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე მეკარეებს შანსი აქვთ, მიღწევა ჯერ გაიმეორონ და მერე გააუმჯობესონ. მით უფრო, რომ ნიკა ჩხეიძემ რა ხანია, თამაშს თავი დაანება და მწვრთნელობას მიჰყო ხელი.

**გამუკა ძმანტალიანი**

# სკანდინავიური ოქრო-ვერცხლი ვაკელებმა მოხვეტეს

**როგორ** ვიტყვით, ჩვენებურ ნაკრებებსა და კლუბებს გამარჯვებები არ ჰქონიათო, მაგრამ ბოლო დროს წარმატებები დაგვიძვირდა და დავრჩით მხოლოდ ნორჩ ფეხბურთელთა ამარა. პატარები ჯერ კიდევ იმარჯვებენ უცხოურ ტურნირებში და იშვიათად, მაგრამ საფეხბურთო ევროპაშიც აფრიალდება ხოლმე ქართული დროშა.

ზედიზედ რვა წელიწადია, საფეხბურთო სკოლა „ვაკე 91“ დანიური და შვედური ტურნირების სტუმარია. „დანა კაპი“ და „გოტია კაპი“ ზაფხულის მიწურულს ტარდება და იმ საფეხბურთო ფესტივალში 2000-ზე მეტი ბავშვთა გუნდი მონაწილეობს. ამ რვა წლის მანძილზე ჩვენებურები ორჯერ ჩემპიონები იყვნენ, ოთხჯერ ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ და ორჯერ ბრინჯაო იკმარეს.

წლევანდელ ტურნირში სკოლის თავკაც ზაზა დიდებაშვილსა და მწვრთნელ მიხეილ აბეჩხრიშვილს ორი ასაკის გუნდი ჰყავდათ დანიასა და შვედეთში. „გოტია კაპზე“ ზაზა დიდებაშვილი 1988-89 წლებში დაბადებული ბავშვებით წარსდგა. ფინალამდე იყო მხოლოდ ერთი ფრე და ბევრი მოგება, გადამწყვეტი მატჩი კი „ულევის“ ცნობილ სტადიონზე 10 ათასი ქომაგის თანდასწრებით ჩატარდა. ქართველებმა მასპინძლებთან დათმეს მატჩი და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

მიხეილ აბეჩხრიშვილის 1990-იანებმა მეოთხედფინალს უწიეს და იქ პერუელ თანატოლებთან დამარცხდნენ. იგივე შედეგი გაიმეორეს „დანა კაპზეც“ და ისევ პერუელები აღმოჩნდნენ ჩვენი ბიჭების მჯობნები.

„დანა კაპზე“ დიდებაშვილის გუნდი ფინალამდე გზად გერმანულ, დანიურ, მექსიკურ გუნდებს გაუსწორდა და ფინალში ფინელებსაც მოუგო. ერთი წელიწადი რაღაა, თვალის დახამხამებაში გაივლის და, „ვაკე 91“ მორიგ ტურნეზე წავა. წავა და, ალბათ, კიდევ გაიმარჯვებს. წლევანდელ წარმატებაში კი წილი ამათ დაიდეს:

***მამუკა ბერძენიშვილი, გიორგი ჯაში, დათო ნიკოლაიშვილი, ნიკა აფციაური, ალეკო წიკლაური, ანიკო შადური, სანდრო ყურაშვილი, ლაშა ნიკოლაიშვილი, თემურ გულუა, გიორგი ჯამარაული, გიორგი კუპაძე, სანდრო როჭიკაშვილი, გიორგი იაშვილი, ირაკლი ბურჭულაძე, ტატო სოფრომაძე, გურამ სოფრომაძე, ლევან ნიჟარაძე, ზურაბ ონიანი, ზურაბ აბულეფიანი, ოთარ ყვირალაშვილი, ცოტნე ცერცვაძე, გელა ოქროპირიძე, ირაკლი ბურჭულაძე, გუგა დალბაშვილი, გიორგი მორგოშია, ლაშა შათირიშვილი, ბექა მჟავია***

**დათო დანელია**

## გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა. VI ტური**

ალენი 2:5 ბოხუმი
ობერჰაუზენი 1:3 მაინცი
ზაარბრუკენი 1:0 დუისბურგი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

VIII ტური

ქემნიცი 2:0 ბრაუნშვაიგი
ოსნაბრიუკი 2:1 ლივერკუზენი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

VIII ტური

ზიგენი 0:0 ტრირი
ერფურტი 2:1 ელვერსბერგი
ჰოფენჰაიმი 2:1 მანჰეიმი
დარმშტადტი 0:0 ანსბახი

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი**

VII ტური

ბრედფორდი 5:1 ჯილინგემი

**მეორე დივიზიონი**

VII ტური

რეძჰემი 1:2 ბრაიტონი

**მესამე დივიზიონი**

VII ტური

მანსფილდი 2:1 შრიუსბერი

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**

VIII ტური

კაენი 1:0 ნიცა

## იტალია

**სერია B. IV ტური**

ბარი — პალერმო გადაიდო

## პორტუგალია

**I ლიგა. V ტური**

ვარზიმი 1:5 ბელენენსეში

## ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**

V ტური

სიტარდი 1:2 ტილბურგი

## ჩეხეთი

VII ტური

ბრნო 1:1 ბანიკი

## პოლონეთი

**A ჯგუფი. VIII ტური**

კატოვიცე 4:2 ოდრა

## თურქეთი

V ტური

ბეშიქთაში 0:1 ისთანბული

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

## აზია. II წრე

**A ჯგუფი. IV ტური**

ირანი 0:0 ბაჰრეინი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| ბაჰრეინი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| საუდეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ერაყი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:5 | 3 |
| ტაილანდი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:5 | 2 |

*ტაილანდი — საუდეთი დღეს გაიმართება*

**B ჯგუფი. IV ტური**

ომანი 1:1 საამიროები

0:1 ალ-ანბარი (13), 1:1 სალიმი (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| უზბეკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| ყატარი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| საამიროები | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ომანი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:8 | 2 |

*ჩინეთი — უზბეკეთი დღეს გაიმართება*

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# კოლხ-აჭარული და ერთიც სხვა მერანი და ნოდია ხუმრობა ნუ გგონია

*ხვალ მეცამეტე ეროვნულის მეშვიდე ტური დაიწყება. დედაქალაქი ზღვისთვის მოიცლის საფეხბურთოდ, სხვაგან კი, ზღვისპირეთის გარდა, დიდად საინტერესოს არაფერს ველით. ეს ტური, ალბათ, არც ლიდერს შეცვლის, სამაგიეროდ, მწვრთნელთა მოხსნა-დანიშვნის ამბავში შეიძლება რაღაც მოხდეს.*

**დინამო — მერანი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 5+5=0-0 | 20:3 |
| სულ: | 10+7=3-0 | 29:5 |

წყალი არ გაუვა — ეს ტურის ცენტრალური მატჩია, რადგან დიდი ინტრიგა ახლავს თან.

რა დღეშია ჩავარდნილი გივი ნოდიას „დინამო", კარგად მოგეხსენებათ. კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობს, დრამატიზირება არ გაუკეთოს იმას, რაც „დინამოში" ხდება. ალბათ ამიტომაც გივი ნოდიასთვის კატეგორიულად ჯერ არაფერი უთქვამთ, მაგრამ თუ „დინამომ" „მერანთანაც" წააგო, გარწმუნებთ, მწვრთნელის შეცვლის საკითხი უმალ დადგება. ზირაქიშვილი, იაგორაშვილი, მაზიაშვილი, მიქაძე, სვანაძე — ეს ხუთი ფეხბურთელი „დინამოს" ტრავმების გამო გამოაკლდა, მაგრამ „მერანთანაც" თუ ფეხი დაუცდა, ამას სათვალავში არავინ ჩააგდებს. გივი ნოდიას მაინც უფრო გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებაში აქვს პრობლემები. შეუპოვრად თუ არ ითამაშეს, „დინამო" წაგებისთვისაა განწირული.

გივი ნოდიას და „მერანს" ძველი ანგარიშებიც აქვთ. წინა ჩემპიონატის პლეი ოფში „მერანმა" ნოდიას „ლოკომოტივს" ავჭალაში მოუგო, ვაკეში კი ფრე გააზერხა. ერთი სიტყვით, უმოტივაციოდ დარჩენილმა „მერანმა" ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ლოკომოტივს" თავი შეაკლა, ხოლო ქუთაისის „ტორპედოსთან" ორჯერვე დამარცხდა. ნოდიას „ლოკომოტივთან" და „ტორპედოსთან" მიმართებაში იგივე მოახდინა ასევე უმოტივაციოდ დარჩენილმა ფოთის „კოლხეთმა". სფფ-მ კი „ბევრი იფიქრა", „მერანი" — „კოლხეთის" მატჩის შედეგი (2:4) გააუქმა, უმოტივაციოდ დარჩენილი გუნდები ერთმანეთში გარიგებაში ამხილა და დასაჯა.

ახლა ვნახოთ, ამჯერად როგორ დაიცავს FAIR PLAY-ის პრინციპებს „მერანი", რომელიც პირობებით აშკარად ჩამოუვარდება ჩვენში ამ მხრივ საუკეთესო „დინამოს".

**გორდა — გურია**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 7+4=2-1 | 12:6 |
| სულ: | 17+8=4-5 | 36:27 |

მაჩანჩალათა ამ თავისებურ დერბიში ფავორიტი, ცხადია, „გორდაა". რუსთაველები ხომ მასპინძლები არიან. ოდესღაც მეფოლადეთა ქალაქის გუნდს შესაძლოა ლიდერი, ვარლამ კილასონია გამოაკლდეს. ამ ფეხბურთელმა „გორდადან" და საერთოდ ფეხბურთიდან წასვლა დააპირა, თუმც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ასე რომ, თუ „ფოლადზე" წასულები კილასონიას ვერ იხილავთ, ნუ გაიკვირვებთ.

რუსთაველებმა, ისევე როგორც წინა ჩემპიონატში, ახლაც კარგად დაიწყეს — შინ მსაჯების ფეშქაში გამარჯვება იზეიმეს „ვიტ ჯორჯიასთან", მერე კი სტუმრად „დინამოს" დაუზავდნენ. ამის შემდეგ იასონ ალადაშვილის გუნდს ქულა არ მოუპოვებია და ხვალ ნაღდად არ წააგებს, თუმც ფრეც მარცხის ტოლფასი იქნება.

ლანჩხუთელთა გუნდი ისეა დაკომპლექტებული, უფრო ვეტერანი ფეხბურთელების ეიმედებათ. ძველი გვარდია კი ვერ ბრწყინავს. გურულები ახლა უმთავარმწვრთნელოდაც დარჩნენ — ზაზა გურიელიძის შემცვლელი ჯერაც ვერ უპოვიათ. სამაგიეროდ, „გორდა" მათთვის საკბილო გუნდია და იქნებ ფრეს გამორჩნენ.

**ბათუმი — კოლხეთი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 12+4=6-2 | 12:9 |
| სულ: | 25+7=7-11 | 28:33 |

ორივე გუნდი კარგ ტონუსშია და ამ მატჩის პროგნოზი ერთობ ჭირს. ასლან ბალაძის „ბათუმი" უდავოდ სიმპათიურად გამოიყურება მეცამეტე ეროვნულში. წინა ტურში გუნდი სტუმრად დამარცხდა „ტორპედოსთან" და ახლა კარგი შანსი აქვს, მოგების შემთხვევაში მეხუთედან მესამე ადგილზე ალზევდეს. აჭარელებს ფლანგები ძლიერი ჰყავს, გიალო ჩხაიძე და ახალგაზრდა კახა ქაცარავა ნაყოფიერად ირჯებიან, თუმც ამ კომპონენტში ფოთელებსაც შეუძლიათ თავი მოიწონონ. თუ ბადრი ახვლედიანს და გელა ფანჩულიძეს თამაში წაუვიდათ, ბათუმელებს „კოლხეთის" დამარცხება ძალიან გაუჭირდებათ. ერთი სიტყვით, გუნდები სათამაშო რგოლების მხრივ კარგად და თანაბრად არიან დაბალანსებულნი. აქ უფრო ცალკეული ფეხბურთელების თამაში იქნება გადამწყვეტი. კოლხებს მეკარის პრობლემა ადარდებთ. წინა მატჩი ფოთელთა პირველმა მეკარე, მამუკა გვასალიამ ავადმყოფობის გამო გამოტოვა, ფილტვების ანთება ჰქონდა. იგი ახალგაზრდა ბიძინა ჩემიამ შეცვალა და ალბათ ხვალაც ის დაიცავს „კოლხეთის" კარს.

**ვიტ ჯორჯია — სამგურალი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 3+3=0-0 | 8:1 |
| სულ: | 6+5=0-1 | 12:5 |

წყალტუბოს „სამგურალს" აგდებულად ნუ შეხედავთ — ურიგო გუნდი არ არის, თუმც არც ისეთი, სიურპრიზი რომ შემოგვთავაზოს. მცხეთაში მაინც დაძაბულ მატჩს უნდა ველოდოთ — წინა ტურში ორივე გუნდს ხელი მოეცარა, „ვიტ ჯორჯია" სტუმრად „მერანთან" დამარცხდა, „სამგურალმა" კი შინ „მეტალურგს" ვერ მოუგო. თანაც ვეტერინართა გუნდი ძველებურად ძლიერი აღარაა, რადგან რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა იგი. მისი დამრიგებელი ჯანი კარნევალი მშვიდათაა, ჩემპიონობასა და მაღალ მიზნებს არ მთხოვენო. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელ-ფეხბურთელები გამარჯვებებზე დაგეშილნი აღარ არიან. ამ ბოლო დროს ერთობ დაწინაურდა ვიტელთა ახალგაზრდა შემტევი გიორგი ადამია. ის ახალგაზრდული ნაკრების წევრი შეიქნა და უეჭველია, ამბიციებიც გაუჩნდებოდა — „ვიტ ჯორჯიას" უცხოეთში გასაგზავნ ფეხბურთელთა შორის მოხვედრაზე უარი რატომ უნდა თქვას?

**მეტალურგი — ტორპედო**

***ერთმანეთს არ შეხვედრიან***

თუ სასწაული არ მოხდა, უაშვეთიოდ დარჩენილმა „ტორპედომ" მეშვიდე გამარჯვება უნდა იზეიმოს. ზესტაფონელებს მხოლოდ ერთი რამის იმედი უნდა ჰქონდეთ — როცა გუნდი რამდენიმე თამაშს ზედიზედ იგებს, გამარჯვებათა სერია უნდა შეწყვიტოს და შესაძლოა, ნებისმიერი რანგის მეტოქესთან დაუცდეს ფეხი.

**სიონი — ლოკომოტივი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4+1=1-2 | 2:4 |
| სულ: | 8+2=2-4 | 3:8 |

ბოლნისში თამაში არავისთვისაა იოლი. „სიონს" შესწევს ძალა, შინ ნებისმიერ მეტოქეს ბრძოლა გაუმართოს და ქულები აართვას. მათი ახალი მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე გამოცდილი სპეციალისტია და იცის, რომელ გუნდს როგორ ეთამაშოს. „სიონის" ყველაზე სუსტი რგოლი, ალბათ, თავდასხმაა. მახარაძე ჯერჯერობით ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ათამაშებს გუნდს, მაგრამ ბესიკ შენგელია ნომინალური ფორვარდი არ არის, მას უფრო მოედნის სიღრმიდან ეხერხება შეტევა. არა გვგონია, ბოლნისელთა თავკაცმა პირველი ტაიმიდან შეუშვას მინდორზე მეორე თავდამსხმელი — მამუკა მინაშვილს მახარაძე ალბათ კვლავ შეცვლაზე ათამაშებს.

რკინიგზელთა გუნდს „ბირკირკარასთან" შერცხვენის შემდეგ ხასიათი გამოუკეთდა — წინა ტურში შინ „დინამო" დაამარცხა. მიუხედავად ამისა, კახა ცხადაძის „ლოკომოტივი" მაინცდამაინც კარგ შთაბეჭდილებას ჯერ ვერ ტოვებს, თუმც წინსვლის პოტენცია არა აქვსო, ამას ნაღდად ვერ ვიტყვით. ლოკომოტიველთა ლიდერ გიორგი ანჩაბაძეს თემურ მახარაძე უეჭველად მიუჩენს პერსონალურ მეურვეს — ამ საქმეს ალბათ პაატა ბარნოვი შეეჭიდება.

**დავით თავართქილაძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| 5 - ბობოხიძე | დინამო |
| წიფწივაძე | კოლხეთი |
| 3 - იონანიძე | ტორპედო |
| დავითაშვილი | მერანი |

**საქართველოს ჩემპიონატი 13 უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი 7 ტური**

რუსთავი. ცენტრალური. 16 სექტემბერი. 17. 30 საათი

**გორდა — გურია**

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ა. სილაგავა (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. კოკაია

ბათუმი. დინამო. 16 სექტემბერი. 17. 30 საათი

**ბათუმი — კოლხეთი**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ზესტაფონი. მეტალურგი. 16 სექტემბერი. 17. 30 საათი

**მეტალურგი — ტორპედო**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ი. შალამბერიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მცხეთა. არმაზი. 16 სექტემბერი. 17. 30 საათი

**ვიტ ჯორჯია — სამგურალი**

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

თბილისი. ეროვნული. 17 სექტემბერი. 17. 30 საათი

**დინამო — მერანი**

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 17 სექტემბერი. 17. 30 საათი

**სიონი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი



მერანელი გიორგი ილურიძე (წინ) და დინამოელი ლადო ბურდული

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 6 | 6 | 0 | 0 | 16:1 | 15 | 18 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 10 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 |
| 2 მერანი | 6 | 5 | 1 | 0 | 11:2 | 9 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 |
| 3 კოლხეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 15:8 | 7 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 14:3 | 11 | 12 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 4 ლოკომოტივი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:6 | 4 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 5 ბათუმი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 3 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 |
| 6 დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 10:7 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 3 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 0 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 3 |
| 8 სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 |
| 9 სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | -7 | 1 |
| 10 გორდა | 6 | 1 | 1 | 4 | 5:15 | -10 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 11 გურია | 6 | 0 | 2 | 4 | 3:9 | -6 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | -3 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 12 მეტალურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:16 | -14 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | -10 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული მოტივები ინგლისიდან საქართველომდე

## თარგამაძე თუ ასათიანი-ჟორდანია? დოსტოევსკი ალეგორიისთვის, შენდობა კორუფციისთვის

*მისი უდიდებულესობა ფეხბურთი ამოუწურავი თემაცაა და დემოკრატიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშიც. ...და ალბათ არ შევმცდარვართ, როცა რესპონდენტად შევარჩიეთ ყოფილი დისიდენტი, ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლევან ბერძენიშვილი, რომელსაც ჩვენს ახლანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში არცთუ უკანასკნელი სიტყვა ეთქმის. ფეხბურთი და ნაციონალიზმი, ქართველი მწვრთნელების სავალალო რეალობა და უცხოელი სპეციალისტი, ალექსანდრე ჩივაძე, სიყვარული, კორუფცია... ერთი სიტყვით, ლევან ბერძენიშვილის ორდინალური და დისიდენტური აზრები...*



გაფარ კიკილაშვილის ფოტო

— მეოცე საუკუნეში არაფერი უფრო მნიშვნელოვანი არ მომხდარა ორი მოვლენის გარდა — დემოკრატიის გამარჯვება ძალიან მოულოდნელ ადგილებში, ვთქვათ, ინდოეთში, სსრკ-ში და ფეხბურთის გავლენა კაცობრიობაზე. საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატების დროს ხალხი ისეთ ფაზაში შედის, როგორც ეს ანტიკურ ხანაში ხდებოდა ოლიმპიადისას. მაშინდელი ოლიმპიური თამაშების დროს ხომ მებრძოლი მხარეები დროებით ზავს აცხადებდნენ. ეს ფუნქცია კი ჩვენს დროში ფეხბურთმა იკისრა. ახლანდელი ოლიმპიური თამაშები კი საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატებთან ვერ მივა. ამისი მიზეზი ისაა, რომ ეროვნული მოძრაობები და ეროვნული სული სპორტის სხვა სახეობებში ისე კარგად ვერ ვლინდება, როგორც ფეხბურთში. მე რომ კაცმა მკითხოს, ინგლისს, როგორც ფეხბურთის სამშობლოს, კაცობრიობამ უნდა დაუდგას სიმბოლური ძეგლი ამ თამაშის ასეთნაირად ჩამოყალიბებისთვის. ბურთის ფეხით თამაში ბევრგან იყო, მაგრამ ფეხბურთი თავისი სპორტული ხასიათით, გულშემატკივრების ხასიათით შექმნა ინგლისმა. ინგლისში თავიდანვე იყო აღმოცენებული გულშემატკივრის ფაქტორი. ინგლისმა ისეთი თამაში მოიფიქრა, რომელსაც ყველაფერი აქვს და როცა ეს ეროვნული გუნდების დონეზე ხდება, მსოფლიოში თვითდამკვიდრებისთვის ერთა დიდი გამოფენა ეწყობა. მაგალითად, ჩვენ ფეხბურთის საშუალებითაც ვხედავთ, რანაირი ხალხია ინგლისელები. ისინი, მოედანზე, როგორც წესი, არიან ჯენტლმენები და კორექტულები, აი, გარი ლინეკერი რომ იყო, ისეთები. მაინცდამაინც „გაზას“ და სხვა ამრევ ფეხბურთელებს ნუ გადავეკიდებით — ასეთების მიუხედავად, ინგლისი თავის იმიჯს მაინც ინარჩუნებს.

**— თქვენი აზრით, როგორი ფენომენი იყო ფეხბურთი ქართველებისთვის ეგრეთ წოდებულ უძრაობის ხანაში და რას წარმოადგენს იგი დღეს?**

— ფეხბურთი მაშინ იყო ყველაფერი — ეროვნული მოძრაობა, ეროვნული ფილოსოფია. ახალკაცი იყო ის ღმერთი, რომელმაც ჩვენ მოგვიყვანა იმ ბედნიერ დღემდე, რომლის შემდეგაც დავმუხრუჭდით როგორც ხალხი. ანუ 1981 წლის 13 მაისი საქართველოს ისტორიაში ისეთი დღეა, როგორიც 1989 წლის 9 აპრილი — ეროვნული ერთობის თვალსაზრისით. მაშინ, როცა „დინამომ“ თასების თასი მოიპოვა, საბჭოთა დრო იყო და არავითარი დაუგეგმავი სახალხო ზეიმი არ შეიძლებოდა, მაგრამ იყო დროშების ფრიალი, „საქართველო, საქართველოს“ ძახილი — ყველაფერი ეს პირველად მოხდა საბჭოთა კავშირში. გაჩნდა ახალი ლოზუნგები, რომელთა შინაარსი ფეხბურთისგან შორს იდგა. შევარდნაძე, როგორც ხელმძღვანელი, დადებითად ხასიათდებოდა იმიტომ, რომ ფეხბურთი უყვარდა.

ახლა კი ძალიან მინდა, ფეხბურთი რაღაც რომ იყოს საქართველოში. ნაკრების ბოლო ორი თამაშის შემდეგ იმედი გაგვიჩნდა. ჩვენ, ფეხბურთის გულშემატკივრები, გულუბრყვილო ხალხი ვართ. კარგი საფეხბურთო პოტენციალი გვაქვს, მაგრამ მთელმა მსოფლიომ დაიწყო ფეხბურთის თამაში, ხოლო ჩვენ ჩამოვრჩით. ფეხბურთი მარტო მთავრობის საქმე არ არის. საქართველოში ბევრი მდიდარი ადამიანია, მაგრამ ძალიან ცოტა გვაქვს ნორმალური სტადიონები და ბაზები. თუმცა გამოჩნდა პირველი ნიშნები, რომ საქართველოში ფეხბურთმა კვლავ შეიძინოს ის მნიშვნელობა, რაც ადრე ჰქონდა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რაც საბჭოთა დროში ჰქონდა, ისეთ მნიშვნელობას ფეხბურთი საქართველოში მთლიანად ვერ დაიბრუნებს. „დინამოს“ მაშინ ფაქტობრივად ეროვნული ნაკრების სიმპათიები ხვდა წილად. როცა „სპარტაკს“ თუ კიევის „დინამოს“ ვეთამაშებოდით, ეს საერთაშორისო მატჩებად აღიქმებოდა. „დინამო“ მაშინ გაცილებით კარგი ნაკრები იყო პოლიტიკური თვალსაზრისით — „დინამოში“ აფხაზიც თამაშობდა, ოსიც, ბერძენიც, რუსიც... გაცილებით მრავალეთნიკური გუნდი იყო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ეს ნაციაა და არა ერთი ეთნოსი და ეს ნაცია წარმოდგენილი იყო ნაციონალური გუნდით.

**— მას შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია რამდენჯერმე შეიცვალა საქართველოში. დღეს ხალხს უჭირს, სწორად გაიგოს ეროვნული მომენტი ფეხბურთში...**

— რა თქმა უნდა, ეს ასეა. ამას დავუმატოთ ჩვენი საფეხბურთო გუნდების შედეგები საერთაშორისო სარბიელზე და ისიც, თუ რეიტინგში რომელ ადგილზეა საქართველო და მას რა ქვეყნები უსწრებენ. თანაც ჩვენ მხოლოდ შედეგზე არ ვართ ორიენტირებულნი, ქართველები მუდამ მაღალტექნიკურ ფეხბურთს ვთამაშობდით. ტაქტიკური თვალსაზრისით კი ყოველთვის გვქონდა პრობლემები, მწვრთნელები არასოდეს არ გვყოლია იმიტომ, რომ ეს ისეთი პროფესიაა, ერთ ადგილას არ იშოვება, რომ მიხვიდე და შეიძინო. მწვრთნელობას ცოდნა უნდა საერთაშორისო დონეზე. ამიტომაც დიდად ვუჭერ მხარს საქართველოში უცხოელი სპეციალისტების მოწვევას და ჩვენი მწვრთნელების უცხოეთში გაგზავნას ცოდნის მისაღებად. ქართველები ამ საქმეში უმეტესწილად დილეტანტები ვართ. ძალიან ბევრი შემთხვევაა, როცა ჩვენს მწვრთნელებს სჯერათ, რომ მაგრები არიან, მაგრამ ტაქტიკური განათლების არც ერთი კურსი არ მოუსმენიათ. თქვენ წარმოგიდგენიათ ისეთი გენერალი, რომელსაც სამხედრო საქმე არ უსწავლია? რაც ჩვენ გუნდებს ბოლო დროს თამაშები წაუგიათ, პირველ რიგში სწორედ აქედან მოდის.

ალექსანდრე ჩივაძე-ფეხბურთელის კარიერას დასაწყისიდანვე ვაკვირდებოდი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის ჩემს ძმასთან ერთად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში თამაშობდა. ამ გუნდის ყველა ფეხბურთელი თამაშის შემდეგ ლუდს მიირთმევდა, მხოლოდ ჩივაძე იყო გამონაკლისი. ის დიდი ფეხბურთისთვის ემზადებოდა და მიაღწია კიდეც ამას. მაგრამ იყო ხალხი, რომლებიც უნგრეთთან და ლიტვასთან ჩვენს ნაკრებს არ გულშემატკივრობდა — თუ ამ მატჩებს წავაგებთ, ჩივაძეს მოხსნიან და უცხოელს ჩამოიყვანენო. მე ყოველთვის ვუქომაგებ საქართველოს ნაკრებს, ცხადია, ამ შესარჩევი ციკლის ბოლო თამაშშიც რუმინეთთან, მაგრამ ეს მატჩიც რომ მოვიგოთ, ჩვენ მაინც უნდა ჩამოვიყვანოთ მწვრთნელი უცხოეთიდან.

ნაციონალიზმის მომენტს დავუბრუნდები. ამას წინათ ჩვენი ჩემპიონატის „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მატჩს ვუყურე. სანამ თბილისის „დინამო“ თბილისის „ლოკომოტივს“ ანტიფეხბურთს ეთამაშება, არანაირი ნაციონალური გრძნობა სტადიონზე არ მეძახის — ფეხბურთელები ფეხბურთს არ თამაშობენ, არანაირი ტაქტიკა არ არის.

**— უცხოელი მწვრთნელიო, თქვით, განა სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი ეთნიკურ ნაციონალიზმს არ ემყარება?**

— როგორ არა, მაგრამ ეს პრობლემა მარტო ჩვენთან ხომ არ არის. გახსოვთ ალბათ, რა ამბავი ატყდა ინგლისში, ეროვნული ნაკრები შვედ სვენ გორან ერიკსონს რომ ჩააბარეს. ისე კი, კოგანის დონის მწვრთნელს თუ მიპოვით საქართველოში, ყაბულს ვიქნები, უცხოელი მწვრთნელი აღარ ჩამოვიყვანოთ.

ბევრი ჩვენი წარმატება სწორედ უცხოელთა ჩამოსვლით იყო განპირობებული. თუნდაც იაკუშინი და კაჩალინი ავიღოთ, ზონინის დროსაც „დინამოში“ სერიოზული წესრიგი დამყარდა, თუმცა ჩვენმა ფეხბურთელებმა რაც ზონინს უქნეს, ყველამ კარგად ვიცით. ბოსკამპის დროს კი წარმატებები ახლოვდებოდა, ეს აშკარად ჩანდა, მაგრამ გაუგებრობა ხომ ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა. ფეხბურთი საერთაშორისო თამაშია, ჩვენ ზოგიერთ შემთხვევაში უცხოელი უნდა ავიტანოთ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ჩვენი პრინციპი. გავაგზავნოთ ახალგაზრდა მწვრთნელები უცხოეთში განათლების მისაღებად. არ მჯერა გაუნათლებელი მწვრთნელის, რომელიც სადამოს ლოგინზე წამოწვება და ტაქტიკას მოიფიქრებს. რატომ წააგო საქართველომ უნგრეთში 1:4? იმიტომ, რომ ჩვენ თამაშში არანაირი ტაქტიკა არ იყო. სხვათა შორის, ბოლოს ლიტვას რომ მოვუგეთ, ტაქტიკურად ძალიან სუსტად ვითამაშეთ — მე, რა თქმა უნდა, პროფესიონალი არ ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ გვყავს გაუნთლებელი მწვრთნელი, რომელსაც უყვარს ფეხბურთი, გუნდი, მაგრამ საჭიროა ისეთი მწვრთნელი იყოს, როგორი ფეხბურთელიც გახლდათ. თორემ ხალხის ქებაზე თუ მიდგა საქმე, ძოძუაშვილიც საინტერესო მწვრთნელია, ყიფიანიც საინტერესო მწვრთნელია, რომელსაც მესამე ლიგის გუნდის გაწვრთნასაც არ მიანდობენ იტალიაში. იმიტომ, რომ როცა მათ გამოკითხავენ, დაელაპარაკებიან, მიხვდებიან, რომ ფეხბურთის თეორია არ იციან, პრაქტიკას რაც შეეხება, მხოლოდ ფეხბურთელობით მოიწონებენ თავს. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მთავარი არ იციან ფეხბურთში — სიყვარული. თუ მწვრთნელს არ შეუძლია გუნდი სიყვარულით შეკრას, დამთავრებული ამბავია.

ასე რომ, ეროვნული ნიჰილიზმის ბრალი არ არის, ჩვენ რომ უცხოელი მწვრთნელი გვსურს. ამას წინათ ფეხბურთელმა თქვა, ჩემი მწვრთნელი გაუნათლებელიაო. ამის შემდეგ არ უნდა მივცეთ ფეხბურთელს ასეთი რამის თქმის საშუალება. ცხადია, ჯობია, ქართველი მწვრთნელით მივაღწიოთ წარმატებებს, მაგრამ ამ ეტაპზე უცხოელია საჭირო. 13 მაისის ბედნიერი დღე იმიტომ მოგვეცა, რომ ახალკაცი ძალიან არაქართველივით იქცეოდა, ჰქონდა დისციპლინა და ცოტა უხეში იყო. რომ არ ჰქონოდა მას ბრძოლა, იმ სიხარულს ვერ მოგვანიჭებდა. ახალკაცს ანუ გამარჯვებულს დიდად აკრიტიკებდნენ თავისი ხასიათის გამო.

**— ფეხბურთის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებაზეც გკითხავთ — „ლოკომოტივი“ და „დინამო“ სახელმწიფო უწყებათა გუნდები არიან. ასეთი ფორმა ამ ეტაპზე სწორად მიგაჩნიათ?**

— ეს არის შეცდომა, „ლოკომოტივი“ და „დინამო“ სახელმწიფო გუნდები რომ არიან, არასწორია. ერთიც და მეორეც არის საბჭოთა კავშირში დაბრუნება. „დინამო“ რომ შსს-ს გადაეცა, ეს კანონის დარღვევაა. მაშინ შსს-ს ყველა თანამშრომელს უნდა დაეფუძნებინა არასამთავრობო ორგანიზაცია საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ სახით და არა კახა თარგამაძეს და რამდენიმე პირს. გუნდები კერძო სტრუქტურებზე უნდა გაიყიდოს.

**— გასაგებია, მაგრამ „დინამო“ შსს-სთვის რომ არ გადაეცათ, მართლაც იყო რეალური საფრთხე, რომ გუნდს კრიმინალური სამყარო ჩაიგდებდა ხელ-ში.**

— მერე და რა გამოდის. იმის შიშით, რომ გუნდი არ ჩაეგდო ხელში კრიმინალურ სამყაროს, ის ხელში ჩაიგდო პოლიციამ. სამწუხაროდ, ამას არაფერი კარგი არ მოჰყვა, მითხარით ერთი, რა წარმატებები აქვს ახლანდელ „დინამოს“? ამ ხალხს „დინამოს“ ბედი არ ადარდებს. თუ ამ საქმის იურიდიული ასპექტები ძალიან გაინტერესებთ, დავით უსუფაშვილს მიმართეთ, რომელიც ანტიკორუფციული შეიდკაცას წევრი იყო და პრეზიდენტი ამ გადაწყვეტილებისთვის გააკრიტიკა კიდეც.

**— კიევის „დინამოც“, ფაქტობრივად სახელმწიფოს გუნდია, მაგრამ სისტემატურად თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში, ერთხელ ნახევარფინალამდეც მიაღწია. სხვათა შორის, გუნდის იმჟამინდელ პრეზიდენტს გრიგორი სურკისს უკრაინაში არცთუ სასურველი იმიჯი ჰქონდა.**

— ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ თუნდაც სურკისივით ხელმძღვანელი ჰყავდეს რომელიმე ჩვენს საფეხბურთო გუნდს. სასურველია, ასეთად პატიოსანი კაცი გვყავდეს, მაგრამ სად ვიშოვით, არ ვიცი. ჩვენს ქვეყანაში ბევრ მდიდარზე დიდი ეჭვი მაქვს... თუმცა ხომ არის შესაძლებელი, რომ „დინამოს“ მესაკუთრე უცხოელი იყოს. ალ ფაედი ინგლისში უცხოელია, მაგრამ საფეხბურთო კლუბის მფლობელია.

**— და უცხოელმა ერთ მშვენიერ დღეს დელფინარიუმი რომ გააშენოს დიღმის ბაზაზე, მერე რა უნდა ვქნათ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება ობივატელურია, ასეთ რამეს არ დაუშვებს. ქართველები ხომ იტალიელებივით ვართ — ფეხბურთზე ვგიჟდებით.

**— „დინამოს“ თანხების მითვისებაზე გამოძიება გრძელდება. რას იტყვით ამ საქმის შესახებ და თუ შეგიძლიათ, იწინასწარმეტყველოთ, როგორ დამთავრდება ყოველივე, დასასჯელი დაისჯება?**

— ივან კარამაზოვის სიტყვებს გავიხსენებ, ერთმა უკეთურმა მეორე უკეთური თუ შეჭამა, გზაც იქით ჰქონიათო აი, ასეთი მკაცრი და საშინელი რამ არ უნდა მოხდეს. შესაძლოა, სამართლებრივი თვალსაზრისით „დინამოში“ მართლაც იყო დარღვევები. არ იქნება კარგი, რომ კახა თარგამაძემ შეჭამოს კახი ასათიანი ან ვინმე სხვა, ვისი შეჭმაც უნდა და ამით, ასე ვთქვათ, კიდევ უფრო დაიმკვიდროს ადგილი. მე მგონია, დადგა იმის დრო, რომ რაღაც პროცესებზე, არა მარტო ფეხბურთში, სიმართლე ვთქვათ, ყველამ ყველაფერი აღიაროს, მაგრამ მათ იმის საფრთხე არ შევუქმნათ, რომ მაინცდამაინც ციხეში ჩავსვათ. თუ ჩვენ ამნისტიას გამოვაცხადებთ და დამნაშავეებს მხოლოდ ვამხელთ, საჯაროდ განვკიცხავთ და სილას გავაწნავთ, უკეთესი შანსი მოგვეცემა სიმართლის დასადგენად.

**დავით თავართქილაძე**

# ყველაფერი ყირამალა

**ისე აერ-დაერიოთ** ცხოვრება ამ ტერორისტებს, როგორც მსოფლიოს საფეხბურთო (და არა მარტო) სამყარო არიეს.

ჩემპიონთა ლიგის 8 და უეფას თასის 43 მატჩის გადადებას დიდი გაურკვევლობა მოჰყვა. ევროპული ფეხბურთის მამები კლუბებს იმ თანხების ანაზღაურებას დაჰპირდნენ, რომლებიც მათი მგზავრობისას დაიხარჯა. ექსპერტთა შეფასებით, ხარჯებმა დაახლოებით 5 მილიონი დოლარი შეადგინა. თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც კომპენსაციაზე უარი განაცხადეს. ამასთან, უეფა არ აპირებს, მგზავრობისთვის გაღებული ხარჯები გაუსტუმროს გულშემატკივრებს, რომლებიც თავისიანებს ამა თუ იმ ქალაქში ჩაჰყვნენ. სამაგიეროდ, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ლიდსმა“ გამოთქვეს მზადყოფნა, უკან დაუბრუნონ ბილეთებში გადახდილი ფული თავიანთ ქომაგებს, ოღონდ მხოლოდ მათ, ვინც ოფიციალური ფანკლუბის წევრია და ბილეთებიც იქვე აქვს შეძენილი. მანჩესტერელ გულშემატკივართა შორის ასეთი დაახლოებით ათასი კაცია და თითოეული ასორმოცდაათ გირვანქას მიიღებს.

შედარებით ჯიბეთხელი კლუბები, მაგალითად, „ცრვენა ზვეზდა“ და ბულგარული „ლევსკი“, შესაბამისად, კიევსა და ლონდონში გადაფრენისთვის დახარჯულ თანხებს უეფასგან ითხოვენ, გვიან გაგვაგებინეს მატჩების გადადების შესახებო. ესპანურ „ვალენსიას“ კი ცნობა თამაშების გადატანის თაობაზე ნოვოროსიისკში დაეწია. ოთხშაბათს შავიზღვისპირეთში ჩასულებს უკან დაბრუნების საშუალება იმ დღესვე არ ჰქონდათ, ამიტომ ანაპაში გაემგზავრნენ, რათა იქიდან მოსკოვში თვითმფრინავით წასულიყვნენ. აღმოჩნდა, რომ რეისი ანაპა-მოსკოვი უსაფრთხოების მიზნით აღარ შედგა და ესპანელები ისევ ნოვოროსიისკში დაბრუნდნენ, სადაც უსაქმურობისგან ბურთიც გააგორეს. ისინი ვალენსიაში გუშინ საღამოს ან დღეს დილით დაბრუნდებოდნენ.

ტერორიზმის ტალღამ შიშის ზარი დასცა ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციას. მათ ის აღარდებთ, რომ 7 ოქტომბერს თელ ავივში იქაურებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი აქვთ გასამართი. ებრაელებს კი, მოგეხსენებათ, დიდი პრობლემები აქვთ პალესტინელ არაბებთან. ამიტომ ავსტრიელები შეხვედრის რომელიმე სხვა ქვეყანაში გამართვას ითხოვენ. ამის თაობაზე უეფაში მომავალ კვირაში იმსჯელებენ.

აურზაურმა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კალენდრებზეც იმოქმედა. ინგლისში 19 სექტემბერს გასამართი კალენდარული მატჩი „ევერტონსა“ და „ლიდსს“ შორის გაურკვეველი ვადით გადაიდო. საფრანგეთში „ლორიანსა“ და პსჟ-ს დღევანდელი შეხვედრა კი ხვალ გაიმართება. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია თავის კალენდარში ქვეყნის თასის თამაშების ჩასატარებლად თავისუფალ დღეებს ეძებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ისევ ერთად: ფათიჰ თერიმი და დავალა უმითი





უფეხბურთოდ დარჩენილ ბევრ ქომაგს ხარჯებს კლუბები აუნაზღაურებენ

# UEFA CUP სად არის მამაცი გული?

**უეფას თასზე** მახაჩყალის „ანჟის“ განგებამ მეტოქედ შოტლანდიური „რეინჯერსი“ არგუნა. რამდენადაც ეს ამბავი დაღესტნელებს გაუხარდათ, იმდენად სქოთებს ეწყინათ. მანდ ადამიანებს ცხვრებივით იტაცებენ და უსაფრთხოების გარანტიებს ვინ მოგვცემსო.

გლაზგოური კლუბის ხელმძღვანელებმა უეფას თხოვნით მიმართეს, ეგებ მატჩი რუსეთის სხვა ქალაქში გადაგვიტანოთო. იქიდან უარი რომ მიიღეს, ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლოში აპელაცია შეიტანეს. არც იქ გამოუვიდათ რამე და უეფამ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ბრძანა, „რეინჯერსი“ მახაჩყალაში ჩავაო. ამით განაწყენებულმა დევიდ მიურეიმ („რეინჯერსის“ პრეზიდენტმა) ახალი აპელაციის შეკოწიწება განიზრახა, ჩემი ფეხბურთელების სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩავაგდებთ. ამერიკაში დატრიალებულმა მოვლენებმა და უეფას თასის მატჩების 20 სექტემბრისთვის გადატანამ შოტლანდიელებს ახალი იმედები ჩაუსახა. ამასობაში უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი დევიდ მიურეის ტელეფონით ესაუბრა. ამის შემდეგ მიურეიმ გულშემატკივრებს განუცხადა, დაზუსტებით ვერაფერს გეტყვითო. ისე კი ამბობენ, რომ ბილეთები უკვე შეკვეთილია და ვიზების გაფორმებაც დაიწყეს. უეფას პრესმდივანმა მაიკ ლიმ განმარტა, რომ დაღესტანში შოტლანდიელთა უსაფრთხოება გარანტირებული იქნება. ამან შოტლანდიის პარლამენტის აღშფოთება გამოიწვია, სადაც უეფას გადაწყვეტილების განხილვა მიმდინარეობდა.

თუ გლაზგოური კლუბი მახაჩყალაში მაინც არ ჩავა, მას 20 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმებენ, ევროტურნირებზე მონაწილეობა კი წლეულს აეკრძალება. შემდეგ დისციპლინარული კომიტეტი ცალკე განიხილავს, როგორ დასაჯოს ურჩი „რეინჯერსი“.

**ვაჟა ხუციშვილი**





უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი და „გლაზგო რეინჯერსის“ პრეზიდენტი დევიდ მიურეი


## მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს
კომპიუტერული ცენტრი „მზიური“
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: ზ. ფალიაშვილის №42 (57-ე საშუალო სკოლა) ☎ 29-11-78, 23-53-17


# მილანში მალე ღორის ხორცს აკრძალავენ ჩვენი სიმონე ჩვენთან

„**მილანის**“ თურქმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა შელახული რეპუტაცია „ფიორენტინას“ 5:2 განადგურებით რამდენადმე აღიდგინა. იტალიური სუპერკლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კი თქვა, თერიმს ყველანი დიდ პატივს ვცემთ, ამიტომაც გავაფორმეთ წუხელ ოთხწლიანი კონტრაქტი დავალა უმითთანო. „იმპერატორად“ წოდებულმა თერიმმა წადილი აისრულა და სტამბოლის „გალათასარაის“ ფეხბურთელი „მილანში“ ჩაირიცხა. უმითმა თავისივე სურვილით, მუდმივ ნომრად 34 აირჩია. რატომ არ გაინტერესებთ? მშობლიურ სტამბოლში მანქანების ნომრები სწორედ ოცდათოთხმეტიდან იწყება, მე კი მანქანები და სტამბოლი ძალიან მიყვარსო. ასეა თუ ისე, დავალა უმითს თუ თერიმმა ინება, უკვე კვირასვე შეუძლია უდინეში თავისი ახალი კლუბის ღირსება დაიცვას — „მილანი“ სერია A-ს მესამე ტურში „უდინეზეს“ სტუმრობს.

უმითის გადაბირების შემდეგ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა თქვა, მორჩა, გუნდის დაკომპლექტება დასრულდა, ამ სეზონში აღარავის ვიყიდითო, მაგრამ...

გალიანი ფაქტის წინაშე დადგა — გუნდი გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა დატოვა, ესპანელი ხოსე მარიც ტრავმის გამო სამი თვით გამოაკლდა. ფათიჰ თერიმს კი, ყმაწვილ ნიგერიელს მოჰამედ ალიუს თუ არ ჩავთვლით, თავდასხმაში ფაქტობრივად სამი ფორვარდი დარჩა — ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი და ხავი მორენო. მოკლედ, „მილანი“ თავდამსხმელის ძიებაშია. კანდიდატურა სამია — ნუნო გომეში, მაურიციო განცი და მარკო სიმონე. ყველაზე რეალური სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ. ისევ გალიანის მოვუსმინოთ: „ცხადია, თავდამსხმელი გვჭირდება. ნუნო გომეშის თაობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. მაურიციო განცი ახლა რობერტო დონადონისთან ვარჯიშობს „ლეკოში“, თუმცა, რამდენადაც ვიცი, „მილანში“ დაბრუნება სურს. რაც შეეხება სიმონეს, გეტყვით, რომ ჩვენ მართლაც დაინტერესებულნი ვართ მისი დაბრუნებით. მარკოს „მონაკოში“ პრობლემები აქვს და გუნდის დატოვებაც უნდა. ჩვენ ფრანგებთან ინტენსიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. თანახმა ვართ, „მონაკოს“ მის სანაცვლოდ ხოსე ანტონიო შამოტი ან კრისტიან ბროკი დავუთმოთ“.

32 წლის მარკო სიმონე „მილანმა“ 1997 წელს „პარი სენ ჟერმენს“ მიჰყიდა. პარიზელებმა კი ორი წლის მერე ბოლონიის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დიპლომიანი ფეხბურთელი სათადარიგო გუნდში გაუშვეს. სიმონემაც უმალ დაიმკვიდრა „მონაკოს“ ძირითადში ადგილი, გუნდის უპირველესი მეგოლე-ლიდერიც გახდა და კაპიტნის სამკლავურიც მოირგო. საქმეები კი მას მერე აერია, რაც ამ ზაფხულში „მონაკოს“ მწვრთნელად დიდიე დეშანი მივიდა. დეშანთან უთანხმოების გამო, როგორც იცით, „მონაკო“ ერთმა იტალიელმა უკვე დატოვა — კრისტიან პანუჩიმ „რომას“ მიაშურა. აი, გაუძლებს თუ არა სიმონე თანამემამულის გზას, სულ მალე გახდება ცნობილი.

ამასობაში „მილანის“ დატოვების სურვილი 22 წლის ანდრეა პირლომ გამოთქვა. „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელი სილვიო ბერლუსკონის გუნდში ამ ზაფხულს ჩაირიცხა. პირლოს თერიმი არ შეჰპირებია ძირითადში ადგილს, თუმცა, უთხრა, მანუელ რუი კოშტას შემცვლელად ნაღდად მჭირდებიო. დაშავდა რუი კოშტა და პირლოსთვის ადგილი აღარც მერე გამოიძებნა. ფეხბურთელმა ითმინა და... „ბოლონიას“ თავკაცმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ თქვა: „მგონი, თომას ლოკატელის შემცვლელს მივაგენი. ლოკატელი „ბოლონიას“ ოთხი თვით გამოაკლდა. „მილანის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები წარმატებით მიდის, იმედი მაქვს, სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ანდრეა პირლოს ვინათხოვრებთ“ — იმედიანადაა გვიდოლინი. სატრანსფერო სეზონი კი 30 სექტემბერს იხურება.

**გიორგი გაჟაძიძე**



მარკო სიმონე

## შოტლანდია

### ლიგის თასი. II ეტაპის წილისყრა

ფოლკირკი — რეითი; ეირდრი — მოზერუელი;
დანფერმლაინი — ალოა; როს ქაუნთი — ჰა-
რთსი; დანდი იუნაიტედი — დამბარტონი; კლა-
იდი — სენტ ჯონსტონი; ჰამილტონი — დანდი;
ეირი — სტრანრაერი; ქუინ ოფ საუთი — აბერ-
დინი; ინვერნესი — პარტიკი; სტირლინგი —
სენტ მირენი; ლივინგსტონი — ისტ ფაიფი
მატჩები გაიმართება 25-26 სექტემბერს

## ამხანაგური მატჩი

### სამხრეთ კორეა 2:2 ნიგერია

0:1 ოკოე (8), 0:2 ნდუკვე (39), 1:2 ჩუნ სოო (66), 2:2 იონგ სოო (79)

## ინგლისი

### ლიგის თასი. II ეტაპი

ტოტენჰემი 2:0 ტორკი

1:0 კინგი (61), 2:0 ლ. ფერდინანდი (69)

# იტალია

პაატა კედია

# ძლიერები, ნიჭიერები და უკმაყოფილონი

| III ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| იუვენტუსი | - | კიევო |
| **ხვალ** | | |
| ბოლონია | - | პარმა |
| ბრეშა | - | ლეჩე |
| ფიორენტინა | - | ატალანტა |
| ინტერი | - | ვენეცია |
| ლაციო | - | ტორინო |
| პიაჩენცა | - | რომა |
| უდინეზე | - | მილანი |
| ვერონა | - | პერუჯა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| კიევო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:4 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| ბრეშა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ვერონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლეჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| უდინეზე | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| პარმა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პიაჩენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ტორინო | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| პერუჯა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ფიორენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| ვენეცია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |



ყოჩაღად დამწყებ „კიევოს“ „იუვენტუსი“ გამოცდის

**ასე და ამგვარად,** სერია A-ს დებიუტანტი „კიევო“, რომელმაც პირველ ორ ტურში გამარჯვებები იზეიმა და 6 ქულით „იუვენტუსთან“ ერთად, ამაყად ლიდერობს უდიდესი კლუბებით დახუნძლულ იტალიის ცხრილს, დღეს პირველ ნამდვილ გამოცდას აბარებს — ტურინში „იუვენტუსს“ ეთამაშება.

როდესაც „კიევოზე“ საუბრობენ, არ ივიწყებენ, ალბათ, უკვე ათასჯერ ნათქვამს: ეს გუნდი ვერონის იმ გარეუბნიდანაა, რომელშიც სულ 2 700 ადამიანი ცხოვრობს. შეგახსენებთ, რომ „კიევომ“ ერთნაირი ანგარიშით, 2:0 სძლია სტუმრად „ფიორენტინას“ და შინ „ბოლონიას“.

მაგრამ, დღევანდელ მეტოქეებს აშკარად განსხვავებული მიზნები აქვთ და ამას კი არ ვხვდებით, არამედ მათი მწვრთნელების ნათქვამს ვიმეორებთ. ვერონელთა თავკაც ლუიჯი დელ ნერის 2001-02 წლების სეზონში სერია A-ში ადგილის შენარჩუნება სწადია, ტურინელთა ცნობილი ხელმძღვანელი, მარჩელო ლიპი კი მხოლოდ და მხოლოდ სკუდეტოს ანუ ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ისახავს მიზნად. „იუვენტუსისთვის“ ნებისმიერი სხვა შედეგი წარუმატებლობა იქნება.

„კიევოს“ ნათამაშევზე მოგახსენეთ. ახლა „ბებერი ქალბატონისა“ ვთქვათ: „იუვენტუსმა“ პირველ ტურში „ვენეციას“ უმასპინძლა და 4:0 დაამარცხა, მეორეში კი ბერგამოში გახლდათ „ატალანტასთან“ და 2:0 მოიგო. ამ თამაშების შემყურე საზოგადოებამ მარჩელო ლიპის გუნდის ქება-დიდება არ დააკლო, მაგრამ „იუვეს“ ნახევარმცველი, ალესიო ტაკინარდი კიდევ მეტს ელის:

„გინდათ სიმართლე? ჩვენ დღეს მხოლოდ 60 პროცენტით ვართ მზად. თან ვგრძნობ, რომ სწორად მივდივართ და საუკეთესო ფორმას თვის ბოლოსთვის ველით“.

ტაკინარდი ძალიან მნიშვნელოვნად სრულ კონცენტრაციას მიიჩნევს.

„ჩვენ ყურადღება ერთი წუთით არ უნდა გაგვეფანტოს, თორემ „კიევო“ დაგვამარცხებს. ფაქტია, ჩვენი მეტოქე ნიჭიერია და უკვე დაამტკიცა, რომ მეტოქეთა ძლევის უნარიც აქვს“.

სხვათაშორის, „კიევოში“ „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში ნათამაშევი ხალხიც გამოდის და ისინი ამ საღამოს „დელე ალპის“ მინდორზე იქნებიან.

„დაუჯერებელია, ჩემი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უნდა ვითამაშო“ — ამბობს ეუჯენიო კორინი — „თან დახეთ, რა მდგომარეობაა, „კიევო“ „იუვენტუსთან“ ერთად ცხრილის სათავეშია“.

ერთი სიტყვით, მესამე ტურში, უნებურად, ყველაზე დიდ ყურადღებას „იუვენტუსისა“ და „კიევოს“ შეხვედრა იქცევს, მაგრამ სერია A-ში კიდევ რვა შეხვედრაა და მათგან ჩვენს ინტერესს, ბუნებრივია, ის იწვევს, რომელშიც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი მონაწილეობს — კახა კალაძის „მილანი“ უდინეში ჩადის.

„უდინეზე“ ამ მატჩს ყინჩად ხვდება. მან წინა ტურში ჩემპიონ, „რომას“ უმასპინძლა და არ დამარცხდა — 1:1. თავის მხრივ „მილანიც“ დიდ გულზეა. ფატიჰ თერიმის მოთამაშეებმა ერთი კვირის წინ „ფიორენტინა“ გადათელეს — 5:2. სავარაუდოდ, თერიმი გამარჯვებულ შემადგენლობას არ შეცვლის და, ასე განსაჯეთ, „გალათასარაისგან“ ნაყიდ თავის ყოფილ შეგირდსა და თანამემამულეს, დავალა უმითსაც სასტარტო შემადგენლობაში დებიუტით ვერ გაახარებს.

„ინტერი“, რომელიც ექტორ რაულ კუპერის ხელში უკეთ გამოიყურება, თუმცა მძლეთამძლეობამდე ბევრი აკლია, „ვენეციას“ მასპინძლობს. მილანელებს ისევ არ ეყოლებათ კრისტიან ვიერი, მას კვლავ სტკივა ბარძაყი, ასე რომ, თავდასხმაში ძველებურად ნიკოლა ვენტოლასა და მოჰამედ კალონის წყვილია მოსალოდნელი.

რაც შეეხება „ვენეციას“, მას „ინტერისთვის“ „სან სიროზე“ ისტორიაში ერთადერთხელ აქვს მოგებული, 1943 წლის აპრილში და ამ სეზონშიც არ მიუდით საქმე კარგად, ჯერჯერობით ორივე ტურში დამარცხდნენ.

ჩემპიონი „რომა“ „პიაჩენცას“ სტუმრობს. ფაქტია, რომ ფაბიო კაპელო და მისი მგლები პირველი ორი ტურით უკმაყოფილონი არიან — ჩემპიონს ორი ფრე არ ეკადრება, ამიტომაც ამჟამად მეცამეტე ადგილზე მყოფი მასპინძლის დამარცხებას შეეცდებიან. რომაელთა თავდასხმაში, ალბათ, ისევ დაბრუნდება მარკო დელვეკიო, რაც ვინჩენცო მონტელას სათადარიგოთა სკამზე ჩამოჯდომას მოასწავებს, ხოლო დაცვაში „მონაკოდან“ „ნასესხები“ კრისტიან პანუჩი შეიძლება ვიხილოთ.

„ლაციო“ „ტორინოს“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ ელის. თანაქალაქელი „რომასი“ არ იყოს, ამ კვირის შუაში „ლაციომაც“ წააგო ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა. დინო ძოფის ხალხს სტამბოლში „გალათასარაიმ“ აჯობა, ასე, რომ რომში გულშემატკივრის გახარებაა საჭირო.

# ინგლისი

გიგა კობახიძე

# სმიტმა ევერტონი დამალა

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლტონი | - | საუთჰემპტონი |
| დერბი ქაუნთი | - | ლესტერი |
| ევერტონი | - | ლივერპული |
| ფულემი | - | არსენალი |
| მიდლსბრო | - | ვესტ ჰემი |
| ნიუკასლი | - | მანჩესტერ იუნ. |
| **ხვალ** | | |
| ტოტენჰემი | - | ჩელსი |
| ჩარლტონი | - | ლიდსი |
| ასტონ ვილა | - | სანდერლენდი |
| იფსვიჩი | - | ბლექბერნი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| მანჩესტერ იუნ. | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 8 |
| ლიდსი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:3 | 7 |
| ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| სანდერლენდი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| ჩელსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ასტონ ვილა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ფულემი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ტოტენჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| დერბი ქაუნთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| იფსვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| ჩარლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბლექბერნი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ლივერპული | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ვესტ ჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ლესტერი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:10 | 1 |
| საუთჰემპტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |
| მიდლსბრო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |

**ლივერპულში** გამორჩეული თამაშია — მერსისაიდულ დერბიში „ევერტონი“ მასპინძლობს „ლივერპულს“. ლონდონში ფრანგი მწვრთნელები გაუძღვებიან „ფულემსა“ და „არსენალს“, ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი ნიუკასლში ითამაშებს.

თუმცა ტრავმირებულ, დისკვალიფიცირებულ და მომჯობინებულ ფეხბურთელებზე ლაპარაკი „დერბი“ — „ლესტერით“ დავიწყოთ. „ცხვრებთა“ გუნდში ყველაფერი წესრიგშია, მის მეტოქეს კი სამი კაცი დააკლდება. ამათგან ერთი, დენის უაიზი დისკვალიფიცირებულია, გარი როუეტი და ჯეიმი სკოუკროფტი კი ტრავმებმა გამოთიშეს. „ლესტერის“ ბანაკში ერთი სახარბიელო სიახლე მაინც არის, დინ სტარიჯმა მტკივანი ფეხი მოირჩინა.

ევერტონელთა მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა სალივერპულო მზადება ისე გაასაიდუმლა, რომ მისი გუნდის სასტარტო შემადგენლობა ბოლო წუთამდე უცნობი იქნება. ეგებ პრემიერლიგას დაუბრუნდეს პოლ გესქოინი, რომელმაც ჩემპიონატის ბოლო მატჩი გასული წლის ნოემბერში გამართა. აქვე აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე დღის წინ „კრისტალ პალასის“ წინააღმდეგ სათასო შეხვედრაში სმიტმა ჩვეული სასტარტო შემადგენლობის ცხრა მოთამაშე დაასვენა. „ლივერპულის“ სასტარტოს, ალბათ, რობი ფაულერი დაუბრუნდება, რომელმაც სარეზერვო გუნდში ორი გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, ჟერარ ულიეს ვლადიმირ შმიცერი არ ეყოლება.

ჟან ტიგანას ცხრა ფეხბურთელის ვინაობა გარკვეული აქვს და ახლა ექიმების დასკვნას ელის, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ სტივ მარლეს და ალენ გომას ბედი. მათ ტრავმები ახლახან მოიშუშეს და თუ სარისკო არ იქნება, „არსენალსაც“ შეერკინებიან. არსენ ვენგერის ბანაკში კი ტონი ადამსის არყოფნას დარდობენ, რომელმაც „ჩელსისთან“ მატჩში ფეხი იტკინა.

ნიუკასლელებს დააკლდებათ გარი სპიდი და შეემატებათ უორენ ბარტონი. პირველი ახლახან დაშავდა, მეორე კი მომჯობინდა. მასპინძლებს იჯარით აყვანილი სილვენ დისტინის დიდი იმედიც აქვთ. სერ ალექს ფერგიუსონი „ნიუკასლთან“ მატჩში აღარ გააკეთებს იმას, რაც წინა ტურში „ევერტონთან“ მოიმოქმედა — ამჯერად დევიდ ბექემი, რუუდ ვან ნისტელროი, პოლ სქოულზი და რაიან გიგზი სასტარტო შემადგენლობაში ეყოლება.

ლიდერ „ბოლტონს“ პირველობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა „საუთჰემპტონის“ წინააღმდეგ და გარეთ ფარელის და კოლინ ჰენდრის გარეშე მოუწევს. მწვრთნელმა სემ ოლიარდისმა იაპონელი აკინორი ნიშიზავას სასტარტოში დასახელებაზე უარი თქვა, თუმცა მან „უოლსოლთან“ სათასო მატჩში თავისიანები მარცხისგან იხსნა. თუ „ბოლტონი“ ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიდის, „საუთჰემპტონის“ საქმე პირიქითაა და პოლ ვარჰურსტით და რიკარდო გარდნერით გაძლიერებული დაუპირისპირდება მეტოქეს.

ბოროელ ალენ ბოკშიჩს კვლავაც ფეხი სტკივა და სტივ მაკლარენმა ბრაიან დინსა და დინ უინდასს უხმო. ამათ მეტოქე „ვესტ ჰემში“ კი მატებაა და ალბათ ტომაშ რეეპკას დებიუტსაც ვნახავთ. მაგრამ რად გინდა, „ჩაქუჩებს“ პაოლო დი კანიო და ფრედერიკ კანო დამტვრეული ჰყავთ. კიდევ კარგი, ჯო კოული ფორმაში ჩამდგარა.

ჯონ გრეგორი „ლივერპულისგან“ და „მანჩესტერისგან“ ვერდაჩაგრულ „ასტონ ვილას“ „სანდერლენდის“ წინააღმდეგ გაუძღვება. გუნდს დაუბრუნდა ნაკრებში ვალმოხდილი კოლუმბიელი ხუან პაბლო ანხელი. ბირმინგემელთა სხვა გამოსარჩევი მოთამაშეები კი არიან: დარიუს ვასელი, დიონ დაბლინი და ბოშკო ბალაბანი.

ვარჯიშზე მიღებული კოჭის ტრავმა მოირჩინა ჯონათან იოჰანსონმა, ის „ჩარლტონში“ თამაშობს და მეტოქედ „ლიდსი“ ჰყავს. თუმცა ჩარლტონელებს თუ ერთი კაცი შეემატათ, ლიდსელებს ასეთი ორი ჰყავთ — ლი ბოიერი და დენი მილსი, რომლებიც დისკვალიფიცირებულნი იყვნენ.

ტოტენჰემელმა დარენ ანდერტონმა „ტორკის“ წინააღმდეგ სათასო მატჩი გამოტოვა და „ჩელსისთან“ საომრად ემზადება. გუსტავო პოიეტმაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. კლაუდიო რანიერის გუნდი კი სელესტინ ბაბაიაროთი და იესპერ გრონკიაერით გაძლიერდა.



პოლ გესქოინი

## გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

| VI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბაიერნი | - | ფრაიბურგი |
| ვოლფსბურგი | - | შტუტგარტი |
| ნიურნბერგი | - | ლაუტერნი |
| ვერდერი | - | კიოლნი |
| ჰამბურგი | - | გლადბახი |
| ლევერკუზენი | - | ზანკტ პაული |
| შალკე | - | დორტმუნდი |
| ხვალ | | |
| ჰერტა | - | მიუნხენი |
| ჰანზა | - | კოტბუსი |



დორტმუნდი VS შალკე — მათიას ზამერი და ჰუუბ სტევენსი



**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 14:6 | 15 |
| დორტმუნდი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| ლევერკუზენი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 10 |
| კოტბუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:8 | 10 |
| შალკე | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| გლადბახი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| კიოლნი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| მიუნხენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| შტუტგარტი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| ფრაიბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ჰერტა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |
| ვერდერი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| ჰანზა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| ნიურნბერგი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| ვოლფსბურგი | 5 | 0 | 3 | 2 | 6:11 | 3 |
| ზანკტ პაული | 5 | 0 | 2 | 3 | 1:6 | 2 |

# ფეხბურთი ჩვენი იარაღია

**ამ დღეებში** გერმანიის სპორტული საზოგადოება უფრო მეტს, ცხადია, ამერიკაში მომხდარ საშინელ ტერაქტზე ლაპარაკობს, ვიდრე ფეხბურთზე ორი დღის წინ საეჭვო იყო ბუნდესლიგის მეექვსე ტურის გამართვაც. უბრალო ადამიანური თანაგრძნობის გარდა, გერმანელებს ისიც აშფოთებდათ, საფეხბურთო მატჩებისას არეულობები არ მოხდესო. მით უმეტეს, რომ გამოძიების ვერსიით, შესაძლო ტერორისტთაგან ორნი ჰამბურგის ერთ-ერთ ბინაზე იდგნენ მდგმურებად. მაგრამ ქვეყნის უშიშროებისა და ფედერალური პოლიციის წარმომადგენელთა კონსულტაციის შემდეგ, გამოაცხადეს, რომ ბუნდესლიგის მატჩების გამართვა სარისკო არ არის და ყველაფერი ადრე დაგეგმილის მიხედვით მოხდება. ამასთან, სტადიონებზე აიკრძალა ყველანაირი შოუს მოწყობა და მუსიკის დაკვრა. შაბათ-კვირას ყველა თამაში წუთიერი დუმილით დაიწყება, ხოლო ფეხბურთელები მინდორზე შავი სამკლავურებით გავლენ.

ამ გადაწყვეტილებას ეთანხმება მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდიც: „საფეხბურთო კავშირმა მართებულად გადაწყვიტა. ცხადია, რაღაც საფრთხე არსებობს, მაგრამ ტერორიზმს არ უნდა დავნებდეთ და ამას მინდორზე გასვლით დავამტკიცებთ. ტერორიზმს მაშინ დავამარცხებთ, როცა დავანახვებთ, რომ არ გვეშინია. უახლოეს ხანში კი ყველაფერი უნდა ვილონოთ ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმში დასაბრუნებლად. ახლა ასეა საჭირო, ოთხშაბათს კი ჩემპიონთა ლიგის მატჩების გადადება სამართლიანი იყო." აი, ასეთი, მართლაც გონიერი სტარტეგის პათოსით ისაუბრა ჰერ ოტმარმა.

შუა კვირაში „ბაიერნს" „ფეიენოორდთან" სალიგო თამაში გაუცდა, დღეს კი თავის „ოლიმპიაშტადიონზე" ჩვენებურთა „ფრაიბურგს" უმასპინძლებს.

ჰიცფელდის გუნდს მთავარი პრობლემა ისევ ნახევარდაცვაში ექნება. სამი მთავარი კაცი, კაპიტან-პლეიმეიკერი შტეფან ეფენბერგი, მეჰმეთ შოლი და იენს იერემისი კვლავაც ტრამვებს იშუშებიან. თუმცა წინა ტურში, მიუნხენელებმა უამათოდაც დაამარცხეს ლიდერი „დორტმუნდი", რაც, უპირველესად ჰიცფელდის დახვეწილი ტაქტიკის ნაყოფი გახლდათ.

დაშავებულების შესახებ კი გუშინწინ კლუბმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელა. შოლს მარცხენა კოჭზე პროფესორმა ვერნერ კეილმა მიუნხენში გაუკეთა ოპერაცია და ფეხბურთელს მკურნალობა უკვე დაუწყია. ტრავმა თითქმის მოიშუშა ეფენბერგმაც და ისიც მსუბუქ ვარჯიშს შედგომია. იერემისის შესახებ კი არაფერს ამბობენ.

სტუმარი „ფრაიბურგი" სამი გერმანული კლუბიდან ერთადერთია, ვინც სამშაბათს უეფას თასის პირველი მატჩის გამართვა მოასწრო სლოვაკეთში „პუხოვთან" 0:0. ფოლკერ ფინკეს გუნდისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. ბუნდესლიგაში კი მათი საქმეები არცთუ კარგადაა. ყოველ შემთხვევაში, შარშანდელი ჩინებული სეზონის მერე ასე ჩანს. „ფრაიბურგმა" ბოლო ოთხ ტურში ორი თამაში წააგო და ორიც ფრედ დაასრულა. დღეისთვის მეთერთმეტე ადგილზეა და ბოლო „ზანკტ პაულის" მხოლოდ სამი ქულით უსწრებს. „პუხოვთან" სამმა ქართველმა ითამაშა, დღეს კი, „კიკერის" ვარაუდით, ძირითადში მხოლოდ ლევან კობიაშვილი იქნება, ცქიტიშვილი და იაშვილი კი თავიდან სათადარიგოთა სკამზე დაიკავებენ ადგილს.

თუ ამ გუნდების ბოლო შეხვედრებს გადავხედავთ, ვნახავთ რომ მიუნხენელებს აშკარა უპირატესობა აქვთ, თუმცა მათგან გამორჩეული, ალბათ შარშანდელი აპრილისაა, როცა კობიაშვილის საჯარიმოდან გატანილი გოლით ფრაიბურგელები იგებდნენ და მერე მსაჯის უხეში შეცდომების გამო 1:2 წააგეს.

„ბაიერნს" დღეისათვის 10 ქულა მოუგროვდა და ლიდერ „კაიზერსლაუტერნს" ხუთით ჩამორჩება. ანდრეას ბრემეს „ლაუტერნი" „ნიურნბერგს" სტუმრობს და ზედიზედ მეექვსე მოგებასაც გეგმავს. მით უმეტეს, რომ ტრავმამოშუშებული ფრანგი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი იური ჯორკაეფი უნდა დაუბრუნდეთ.

საინტერესო თამაშია გელზენკირხენში, სადაც თავის ახალ „არენაზე", რურის 117-ე დერბიში „შალკე" დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლებს. მათ ურთიერთდამოკიდებულებას უბრალოს ვერაფრით დავარქმევთ. აი, მაგალითად, როცა შარშან დორტმუნდელთა კერპი ანდრეას მიოლერი „შალკეში" გადაბარგდა, ეს პატივცემული კაცი ლამის მოღალატედ გამოაცხადეს. მოკლედ, ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ და ბრძოლაც ფრიადია მოსალოდნელი: „ძალიან რთული თამაში იქნება. „დორტმუნდი" სწრაფი გუნდია და კონტრშეტევებით დაგვემუქრება. ჩვენ კი მათ ამის შანსი არ უნდა მივცეთ" — ამბობს გელზენკირხენელთა მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი.

სამშაბათს ორივემ ჩემპიონთა ლიგაში სცადა ძალა. „დორტმუნდმა" კიევში თითქმის წაგებული თამაში მოატრიალა და „დინამოსთან" 2:2 ითამაშა, „შალკემ" კი შინ სამარცხვინოდ, 0:2 წააგო ბერძნულ „პანათინაიკოსთან".

## ესპანეთი

ღარჯანია

# ამას სკამზე ვინ დასვამს?!

| III ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| დეპორტივო | - | ბილბაო |
| მალიორკა | - | ალავესი |
| ბეტისი | - | რეალი |
| ოსასუნა | - | ბარსელონა |
| ხვალ | | |
| მალაგა | - | ვალიადოლიდი |
| ვალენსია | - | ლას პალმასი |
| სოსიედადი | - | სელტა |
| ტენერიფე | - | ვილიარეალი |
| რაიო ვალეკანო | - | სარაგოსა |
| ესპანიოლი | - | სევილია |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ვილიარეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ალავესი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| მალაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლას პალმასი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ესპანიოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მალიორკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| სარაგოსა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სევილია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| რაიო ვალეკანო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ვალიადოლიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| სოსიედადი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ტენერიფე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| ოსასუნა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

**როგორ** ხასიათზე უნდა იყვნენ ვიგოელი ფანები, როცა მათი „სელტა" პრიმერადივიზიონის ლიდერია? ეს რიტორიკული კითხვა სულაც არ არის, რადგან ვიქტორ ფერნანდესის გუნდისგან ყველაფერია მოსალოდნელი. წინა სეზონში სელტა" სამი ტურის შემდეგ ლიდერი იყო, მერე მეთექვსმეტე ადგილამდე დაეშვა, ბოლოს კი იმდენი მოახერხა, უეფას ზონაში მოხვდა. ახალი სეზონი „სელტამ" ზუსტად იმავე სცენარით დაიწყო — ჯერჯერობით ლიდერია, თან გოლიც არ გაუშვია.

„წინა სეზონში ჩვენი არასტაბილური თამაში ლოგიკურად აიხსნება — ამბობს ვიქტორ ფერნანდესი — ხშირმა ტრავმებმა და დროდადრო ზოგიერთი მოთამაშის ფორმიდან ამოვარდნამ ბევრი ქულა დაგვაკარგვინა. თუ ახლა სტაბილური შემადგენლობის შენარჩუნებას შევძლებთ, ჩემპიონობის მოპოვების კარგი შანსი გვექნება".

ზედიზედ მესამე მატჩის მოსაგებად გალისიელებს სან სებასტიანში „სოსიედადის" დამარცხება სჭირდებათ. აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებია, „სელტას" „ანოეტაზე" გამარჯვება არ უჭირს. წინა სეზონის ამბებს თუ გავიხსენებთ, შევნიშნავთ, რომ „სოსიედადმა" ყველაზე მეტი — შვიდი საშინაო მატჩი წააგო და ბოლო ტურში დივიზიონიდან გავარდნას გადაურჩა.

ახალი სეზონი ბასკთათვის კვლავაც უიღბლოდ დაიწყო და ჯერ ქულაც ვერ მიუთვლიათ.

ჯონ ტოშაკმა მესამე ტურისთვის სასტარტო შემადგენლობის დასახელებისას გიორგი დემეტრაძე გამოტოვა. გავიხსენოთ, რომ ქართველმა პირველ ტურში რამდენიმე წუთი ითამაშა, ხოლო მეორეში სათადარიგოც არ ყოფილა.

„სელტა" კი იმავე სასტარტო შემადგენლობის გაყვანას აპირებს, რითაც წინა უქმეებზე „ტენერიფე" 3:0 დაამარცხა. ეს ნიშნავს, რომ ფერნანდესი „არსენალიდან" გადაყვანილი სილვინიოს ნაცვლად მარცხენა მცველად ხუანფრანს ათამაშებს. სასტარტოში იქნება ზვონიმირ ბობანიც.

„სელტასგან" განსხვავებით, რომელსაც ჩემპიონის ტიტული არასდროს ჰქონია, ბევრგზის ჩემპიონებმა — „რეალმა" და „ბარსელონამ" სეზონი ცუდად დაიწყეს.

ოთხქულიან „ბარსელონას" არ ეყოლება მუხლმტკივანი რივალდო, რომელიც სულ მცირე სამ კვირას გამოტოვებს. მსოფლიოს ყოფილი საუკეთესო ფეხბურთელი სამკურნალოდ სამშობლოში გაემგზავრა. შესაძლოა, პამპლონაში ვერ ითამაშოს მარკ ოვერმარსმაც. ჰოლანდიელს მარჯვენა მუხლი სანაკრებო მატჩის დროს დაუშავდა და თუმცა უკვე მომჯობინდა, ამბობს, ჯერ მზად არ ვარ სათამაშოდო.

წინა ტურში კარლოს რექსაჩმა ლუის ენრიკე კარლეს პუიოლის ამპლუაში ათამაშა, მარჯვენა მცველად. ახლა კი, სავარაუდოდ, ლუის ენრიკე თავის ჩვეულ ადგილს დაიკავებს, ხოლო პუიოლი სათადარიგოთა სკამიდან წამოდგება.

ტრავმების თვალსაზრისით „რეალს" ნაკლები პრობლემები აქვს, თუმცა საგანგაშო „სამეფო კლუბის" მონაგარია — ასეთი სავალალო შედეგი (ერთი ქულა ორი ტურის შემდეგ) მადრიდელებს ბოლოს ცამეტი წლის წინ ჰქონდათ.

„რეალმა" ქომაგთა რისხვა ჩემპიონთა ლიგაში „რომას" ბრწყინვალე ძლევის შემდეგ ჩააცხრო, თუმცა საინტერესო ის არის, რომ ახალ სეზონში ერთადერთი კარგი თამაში „რეალმა" უზიდანოდ აჩვენა. სხვათა შორის, ეს ფაქტი ვისენტე დელ ბოსკემაც საგანგებოდ აღნიშნა. ამასთან დაკავშირებით ესპანურ პრესაში უკვე გამოითქვა ვარაუდი, რომ სევილიურ „ბეტისთან" მატჩში მწვრთნელი ფრანგს სათადარიგოთა სკამზე დასვამს და მინდორზე სტივ მაკმანამანს შეუშვებს.

თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. ძნელი წარმოსადგენია, ფლორენტინო პერესს ზიდანში სამოცდახუთი მილიონი დოლარი იმიტომ გადაეხადა, რომ მწვრთნელმა ის სათადარიგოთა სკამზე აყურყუტოს.

ზიდანის სარგებლობაზე ლაპარაკობს მის გამო შემადგენლობაში ადგილდაკარგული მაკმანამანიც: „ზიზუ მსოფლიოში საუკეთესოა. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ის ახალ გუნდს ვერ მოერგო, უსაფუძვლოა. ზიდანი ის ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ სათამაშო სქემას აულებს ალღოს, მხოლოდ ცოტაოდენი დრო მიეცით".

„რეალის" უმთავრესი დანაკლისი კვლავაც ფერნანდო მორიენტესია, რომელსაც ფეხი ლიხტენშტაინთან მატჩის შემდეგ აწუხებს. „ბეტისის" გარდა მას ლიგაში მოსკოვის „ლოკომოტივთან" და პრიმერადივიზიონში „ესპანიოლთანაც" მოუხდება მატჩების გამოტოვება. თუმცა „რომასთან" მორიენტესის შემცვლელი გუტი საუკეთესო ფორმაშია და ვისენტე დელ ბოსკეს შეუძლია, ამ მხრივ მშვიდად იყოს. მეორე მხრივ კი, დელ ბოსკეს სევილიელთა ერთ დროს უძვირესი დენილსონისა უნდა ეშინოდეს, რომელიც კარგ ფორმაშია და „ბეტისმაც" კარგად დაიწყო ახალი სეზონი. აღვნიშნოთ, რომ სევილიელთა რიგებში მატებაა — მათ ჰოლანდიური „ვალვაიკიდან" 21 წლის ისლანდიელი ნახევარმცველი იოჰანეს გუდიონსონი გადაიბირეს და ექვსწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მას იქამდე ბელგიურ „გენკში" უთამაშია. ამრიგად, გუდიონსონი პრიმერადივიზიონში მოთამაშე პირველი ისლანდიელი გახდა. მართალია, მისი ძმა ტეიდური „ლას პალმასის" საკუთრებაა, მაგრამ იჯარით „დერბი ქაუნთიში" თამაშობს.

სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია „ესპანიოლის" შეხვედრა „სევილიასთან", რადგან მასპინძლებს ტრავმების გამო ორი საუკეთესო ფეხბურთელი — რაულ ტამუდო და ფრანსისკო პალენსია დააკლდებათ.



რივალდო ბურთს, სულ მცირე, სამი კვირა ვერ გაეკარება

# 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი
## ტრინიდადი და ტობაგო. 13-30 სექტემბერი



17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ტრინიდადული გახსნა ვერ იყო ხალხმრავალი

**A ჯგუფი. I ტური**

**ტრინიდადი 1:2 ხორვატია**

0:1 კრანიჩარი (43პ), 1:1 ბლექმენი (57), 1:2 კრანიჩარი (67პ)

მსაჯი: დანიელ ხიმენესი (არგენტინა)

10 500 მაყურებელი

**მოგეხსენებათ,** ამერიკაში დატრიალებული ტრაგედიის გამო უეფამ მატჩები გადადო, ფიფა კი ასე არ მოიქცა და საყოველთაო გლოვის ჟამს ტრინიდადში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიხსნა 17-წლამდელთა შორის.

ტურნირის პირველი დღის ერთადერთი მატჩი პორტ ოფ სპეინში „ჰესლი კროუფორდის" სტადიონზე ჩატარდა. მასპინძელ ტრინიდადის და ტობაგოს და ხორვატ მოზარდთა შორის თამაშს ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი და მასპინძელი ქვეყნის პრემიერ მინისტრი ბასდეო პანდაი დაესწრნენ. მატჩი ევროპელთა გამარჯვებით დასრულდა 2:1. ხორვატებმა ორივე ბურთი პენალტით გაიტანეს. ტრინიდადელთაგან კი ერთადერთი გოლის ავტორი ნკორი ბლექმენია, რომელიც ყველაზე გამორჩეული იყო მოედანზე და ტურნირის გენერალურმა სპონსორმა JVC-მ მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელა.

„მინდოდა, ყველაფერი გამეკეთებინა, რათა მოგვეგო და ჩვენს ხალხს ეამაყა, თუმცა, სამწუხაროდ, დავმარცხდით" — აღნიშნა მატჩის გმირმა.

თამაშის დაწყებამდე თავსხმა წვიმა წამოვიდა, რამაც, ცხადია, მატჩსაც დაასვა თავისი დაღი. ხორვატთა თავკაცმა მარტინ იოვოსელაკმაც აღნიშნა, რომ არა წვიმა, ჩემი გუნდი უფრო ლაღ თამაშს უჩვენებდაო. ტრინიდადელთა მწვრთნელი რენე სიმოეში კი, წაგების მიუხედავად, თავისი შეგირდების თავდადებით ამაყობდა, მერე კი არგენტინელ მსაჯ დანიელ ორლანდო ხიმენესსაც გაჰკრა კბილი მათ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანების გამო.

**ნიკა შუბლაძე**

# ჯიბგარდამწვარი სარის საარი

ედვინ ვან დერ სარი, იაპ სტამი და სანდერ ვესტერფელდი, მოგეხსენებათ, ჰოლანდიელები არიან, ნაკრებშიც ერთად თამაშობენ და ამასთანავე სამივეს პრემიერლიგა აერთიანებს, უფრო სწორად კი, აერთიანებდა, რადგან ვან დერ სარის „ფულემში" გადასვლა იაპ სტამის იტალიაში გაშვებას დაემთხვა.

სწორედ ახმახი მცველის გუნდიდან გაშვების გამო ვან დერ სარმა სერ ალექს ფერგიუსონის კრიტიკას მიჰყო ხელი, რაც, გულახდილად რომ ვთქვათ, მისი საქმე სულაც არ არის, მაგრამ რაკი ფულემელმა მეკარემ ილაპარაკა, ჩვენც მოვუსმინოთ. „სტამი დიდი ფეხბურთელია, რომელიც „მანჩესტერში" უზარმაზარ სამუშაოს ასრულებდა. დარწმუნებული ვარ, ის საკუთარი სურვილით არ წასულა" — თქვა ვან დერ სარმა.

ჰოლანდიელი ნაკრებში თავისი შემცვლელი ვესტერფელდის ბედსაც შეუწუხებია, რომელსაც „ლივერპულში" პირველი მეკარეობა ჩამოართვეს და ჩეხ ირჟი დუდეკს უბოძეს. მეტიც, ჟერარ ულიემ ვესტერფელდი იმდენად აითვალწუნა, რომ მესამე მეკარედ გაამწესა და მეორეობა კრის კირკლენდს ჩააბარა.

ვან დერ სარი ამბობს, რომ ვესტერფელდი „ბოლტონთან" დაშვებულ შეცდომას შეეწირა და მას უნამუსოდ მოექცნენ, რაკი ერთი შეცდომის გამო კაცი ასე არ უნდა გაიმეტო.

შევნიშნოთ, რომ თავად ვესტერფელდსაც გული აჰყრია და ახალი გუნდის ძებნას აპირებს.

ვან დერ სარის აღშფოთებაც გასაგებია — ის ხომ „იუვენტუსშიც" იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც ახლა ვესტერფელდია და „ფულემში" უშველა თავს.

**გიორგი დარჯანია**



ედვინ ვან დერ სარი თვისტომებს გამოექომაგა

## ფეხბურთის რუბრიკა



**ესპანელი** ნახევარმცველის ივან დელა პენიას შეძენის სურვილს ლონდონის „ტოტენჰემი" გამოთქვამს. სააგენტოების ცნობით, ბრიტანულმა კლუბმა რომის „ლაციოს" 3 მილიონი გირვანქა შესთავაზა, თუმცა იტალიელები არ დათანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ 25 წლის დელა პენია „ბარსელონაშიც" თამაშობდა, ერთი ხანობა კი იჯარით იყო გაშვებული მარსელის „ოლიმპიკში". ამის შემდეგ იგი „ლაციოში" მოხვდა. საგულისხმოა, რომ რომაელთა თავკაცი დინო ძოფი სეზონის დაწყების წინ ესპანელზე დიდ იმედებს ამყარებდა.

**პერუს ნაკრების ნახევარმცველ ხუან ხოსე რაიო „ლას პალმასთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს და, ალბათ, უახლოეს დღეებში ახალ კლუბში ჩაირიცხება. „ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ლიგაა და დიდი სურვილი მაქვს, პრიმერადივიზიონში ვითამაშო. ჩემი აგენტი მარწმუნებს, რომ ყველაფერი სულ მალე გადაწყდება" — განაცხადა პერუელმა. სააგენტოები კი იუწყებიან, რომ ის ესპანეთში უნდა ჩავიდეს და უქმეებზე გასამართ ტურში „ლას პალმასის" თამაშს დაესწროს, შესაძლოა კონტრაქტიც მაშინ გააფორმოს.**

**ესპანური** კლუბები — „სელტა" და „ოსასუნა" ერთმანეთს გაურიგდნენ, რის შედეგადაც 25 წლის ნახევარმცველმა მანოლო სანჩესმა და 22 წლის მცველმა პაბლო კონტრერასმა ვიგოური გუნდი დატოვეს და პამპლონაში იჯარით ითამაშებენ. უნდა ითქვას, რომ ჩილეს ნაკრების მოთამაშის, კონტრერასის შეძენა „ლას პალმასს" და „ალავესსაც" სურდათ, არადა, ეს ფეხბურთელი „სელტაში" მხოლოდ რამდენიმე თვის წინ ჩაირიცხა. მანოლო სანჩესი კი ვიგოურ კლუბში შარშან ხიხონის „სპორტინგიდან" მივიდა.

**ინგლისური „ლივერპულის" მეკარე პეგი არპემადი „ენფილდ როუდის" დატოვებას აპირებს. 28 წლის ფრანგი ახლა მიხვდა, რომ ჟერარ ულიეს გუნდის ძირითადში მისი ადგილი ვერ გამოინახება. ოთხი სეზონია, რაც იგი „ლივერპულშია" და მხოლოდ 21-ჯერ გამოჩნდა მინდორზე. ფრანგი ირწმუნება, რომ მისი აგენტი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ამ ტრანსფერის განსახორციელებლად. ცნობისთვის: „ლივერპულამდე" იგი „ლესტერის", „ლანსისა" და „ლილის" ღირსებას იცავდა.**

## მერკოსურის თასი
11-12-13 სექტემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი. V ტური** | | | | | | |
| **სერო პორტენო (პარაგვაი) 2:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)** | | | | | | |
| **ვასკუ და გამა (ბრაზილია) 2:1 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)** | | | | | | |
| სერო პორტენო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ვასკუ და გამა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| **B ჯგუფი. IV ტური** | | | | | | |
| **ნასიონალი (ურუგვაი) 4:1 ფლამენგო (ბრაზილია)** | | | | | | |
| ფლამენგო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| სან ლორენსო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ოლიმპია | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |
| **C ჯგუფი. IV ტური** | | | | | | |
| **კრუზეირო (ბრაზილია) 4:1 ინდეპენდიენტე (არგენტინა)** | | | | | | |
| **კორინთიანსი (ბრაზილია) 0:0 კოლო კოლო (ჩილე)** | | | | | | |
| კორინთიანსი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| კოლო კოლო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| კრუზეირო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| **D ჯგუფი. IV ტური** | | | | | | |
| **ტალერესი (არგენტინა) 2:2 ველეს სარსფილდი (არგენტინა)** | | | | | | |
| **პენიაროლი (ურუგვაი) 1:1 სან პაულუ (ბრაზილია)** | | | | | | |
| ტალერესი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:4 | 6 |
| სან პაულუ | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 6 |
| პენიაროლი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | 5 |
| ველეს სარსფილდი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:9 | 2 |
| **E ჯგუფი. IV ტური** | | | | | | |
| **პალმეირასი (ბრაზილია) 4:0 უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)** | | | | | | |
| **გრემიო (ბრაზილია) 1:0 რივერ პლეიტი (არგენტინა)** | | | | | | |
| გრემიო | 4 | 4 | 0 | 0 | 10:3 | 12 |
| პალმეირასი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:7 | 4 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| რივერ პლეიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |

## მერკონორტეს თასი
11-12-13 სექტემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **. A ჯგუფი. III ტური** | | | | | | |
| **აუკასი (ეკვადორი) 0:1 ამერიკა დე კალი (კოლუმბია)** | | | | | | |
| ნეკაქსა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ალიანსა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ამერიკა დე კალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| აუკასი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| **B ჯგუფი. III ტური** | | | | | | |
| **დეპორტივო იტალჩაკაო (ვენესუელა) 2:0 გვადალახარა (მექსიკა)** | | | | | | |
| მილიონარიოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| გვადალახარა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ნიუ ჯერსი მეტროსტარზი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| დეპორტივო იტალჩაკაო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| **C ჯგუფი. IV ტური** | | | | | | |
| **სპორტინგ კრისტალი (პერუ) 2:1 კანზას სიტი (აშშ)** | | | | | | |
| სპორტინგ კრისტალი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| სანტოს ლაგუნა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| კანზას სიტი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:10 | 3 |
| ბარსელონა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |
| **D ჯგუფი. III ტური** | | | | | | |
| **უნივერსიტარიო (პერუ) 0:0 ემელეკი (ეკვადორი)** | | | | | | |
| ატლეტიკო ნასიონალი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უნივერსიტარიო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ემელეკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბლუმინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |


რესტორანი მშვიდი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიუ იორკ ნიკერბოკერსი

დაარსდა 1946 წელს
ნბა-ს ჩემპიონი: 1970, 1973
მუდმივი ნომერი: 10 (უოლტ ფრეზერი), 12 (დიკ ბარნეტი), 15 (ერლ მონრო), 15 (დიკ მაგუაიერი), 19 (ვილის რიდი), 22 (დეივ დებუშერი), 24 (ბილ ბრედლი), 613 (რედ ჰოლცმანი)
დარბაზი: მედისონ სკვერ გარდენი

# გოლიათები დიდი ქალაქიდან

**1946 წლის** შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ნიუ იორკიდან ტორონტოს მიმართულებით ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მატარებელი გავიდა. კანადის საზღვრის გადაკვეთისას მატარებელი საბაჟო ფორმალობების შესასრულებლად გააჩერეს. მგზავრებმა ერთობ გაიოცეს კანადელი მებაჟე, მას ცხოვრებაში არ ენახა ერთად თავმოყრილი ამდენი აზმაზი ჯეელი და ბუნებრივი კითხვაც დაებადა — ვინ იყვნენ ეს გოლიათები. „კალათბურთელები" — იყო პასუხი. „ნიუ იორკ ნიკერბოკერსი" ტორონტოში იქაურ „ჰასკიზსთან" სათამაშოდ მიეშურებოდა. იმ თამაშს იმ დროისთვის საოცრად ბევრი, შვიდი ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო, გაიმარჯვეს სტუმრებმა, ანგარიშით — 68:66. ეს იყო ნბა-ს წინამორბედი ბაა-ს პირველი შეხვედრა.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე რამდენიმე თვით ადრე ნიუ იორკის სასტუმრო „ოტელ კომოდორში" საფუძველი ჩაეყარა ამერიკის კალათბურთის ასოციაციას, 1 ნოემბერს კი ტორონტოს დარბაზმა „მეიფლ ლივ გარდენმა" პირველ საკალათბურთო მატჩსაც უმასპინძლა. პირველი თამაშის მონაწილენი და ლიგის დამფუძნებლები მაშინ ვერასგზით წარმოიდგენდნენ, რომ მათ მიერ დაარსებული ლიგა ასე გაიფურჩქნებოდა და 50 წლის შემდეგ მოთამაშეთა და სრულიად ლიგის შემოსავალი ათასჯერ და მეტადაც გაიზრდებოდა. ბაა-ს დამაარსებლები დარბაზების მფლობელები იყვნენ. მათი მიზანი იყო, დარბაზები მეტად დატვირთულიყო და რამდენიმე ათასი ზედმეტი დოლარი ეშოვათ.

ისტორიული პირველი მატჩის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. პირველი არაამერიკული გუნდი „ტორონტო ჰასკიზი" პირველივე სეზონის შემდეგ დაიშალა (რას ვიზამთ, კანადაში კალათბურთის ჰოკეი ერჩივნათ), ბაა სამი წლის შემდეგ ნბა-დ გადაკეთდა, „ნიუ იორკ ნიკერბოკერსი", იგივე „ნიქსი" კი დღემდე არსებობს და პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის ცხოვრების დინებას მიჰყვება. ბაა-ს პირველი 11 გუნდიდან მხოლოდ ის, „ბოსტონ სელტიქსი" და „გოლდენ სტეიტ ვორიორზი" შემორჩნენ დღემდე. მხოლოდ „ნიქსი" და „სელტიქსი" თამაშობენ იმავე ქალაქში, რომელშიც ამ 55 წლის წინ იშვნენ. დაბოლოს ოდენ „ნიქსს" არ შეუცვლია შინაური სარბიელი. ნიუიორკელები, ისევე როგორც ნახევარი საუკუნის წინ, სტუმრებს „მედისონ სკვერ გარდენში" მასპინძლობენ.

ქვეყნის უდიდესი ქალაქის შვილებს ყოველთვის სურდათ, მათი ჯილა „ნიქსი" ნიუ იორკივით დიდი ყოფილიყო და ყოველთვის ჩემპიონობაზე ეფიქრა. „ნიკერბოკერსში" ხშირად იბრძოდა ოქროსთვის. რვაჯერ გასულა ნბა-ს ფინალში და აქედან ორჯერ უჯობნია მეტოქისთვის, თუმც ჩავარდნებიც არანაკლებ ხშირად ჰქონია და მაშინ ნიუიორკელები ნანობდნენ, რომ ასეთი უსუსური გუნდი ჰყავდათ, მაგრამ ისინი ყოველთვის დადიოდნენ თამაშებზე და „ნიქსის" გამხნევებისთვის საკუთარი ყელის იოგებს არ ზოგავდნენ.

„ნიქსი" სამჯერ იყო საჩემპიონო გაქანების გუნდი — 50-იანი წლების დასაწყისში, 70-იანების პირველ ნახევარში და 90-იანებში. ამათ შორის საუკეთესოდ უპირობოდ მეორე მიიჩნევა და ასეც უნდა იყოს. ორი ჩემპიონობა სწორედ მაშინდელი ვარსკვლავების — ვილის რიდის, უოლტ ფრეზერის, დეივ დებუშერის, ერლ მონროს, ბილ ბრედლის და მათი დამრიგებლის, რედ ჰოლცმანის შრომის ნაყოფია. დღესდღეობით ყველა მათგანი ნბა-ს დიდების დარბაზის წევრია და „ნიქსის" მუდმივნომრიანი მაისურის მფლობელია.

„ნიუ იორკმა" პირველ ხელშესახებ წარმატებას მეხუთე სეზონში, 1951 წელს მიაღწია. აღმოსავლეთ კონფერენციის პლეი ოფში „ნიკერბოკერსმა" „ბოსტონი" და „სირაკუზი" გამოთიშა ჩემპიონობისთვის ბრძოლას და ფინალში რჩეულ დასავლელს, „როჩესტერ როიალზს" შეება. წაგების მიუხედავად, ნიუიორკელებზე აუგი არ იქთმის. სერიაში 0:3 ჩამორჩენის შემდეგ მათ ზედიზედ სამი შეხვედრა მოუგეს როჩესტერელებს და ნბა-ს ისტორიაში პირველნი და უკანასკნელნი გახდნენ, რომლებმაც 0:3 ჩამორჩენის შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს და საქმე მეშვიდე მატჩამდე მიიყვანეს. იმხანად „ნიქსში" ბრწყინავდნენ ჰარი გალატინი, დიკ მაგუაირი და კარლ ბრაუნი. „ნიქსს" ჰყავდა აგრეთვე ნბა-ში და სრულიად ამერიკულ სპორტში გამოჩენილი ერთ-ერთი პირველი შავკანიანი ნათანიელ კლიფტონი. ამ შემადგენლობით „ნიუ იორკი" მომდევნო ორ წელსაც გავიდა ნბა-ს ფინალში, მაგრამ ორჯერვე „მინეაპოლის ლეიკერსთან" დამარცხდა, შემდეგ ნიუიორკელები ერთხანს ირიცხებოდნენ საშუალოებში, 60-იანი წლებიდან კი უხეიროებში ჩამოინაცვლეს.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ხშირად ცხრილის ფსკერზე დაყვინთვა აღმავლობის წინაპირობაა. სუსტ გუნდს დრაფტში არჩევნის გაკეთების უფლება სხვებზე ადრე ეძლევა, ამდენად ასეთს მეტი შანსი აქვს, პერსპექტიული ბიჭი შეიმატოს. სხვა საქმეა, რამდენად გაამართლებს არჩევანი და როგორ იხეირებს მისი გუნდი. „ნიუ იორკმა" 60-იანი წლების ჩავარდნა ტრამპლინად გამოიყენა და 1964 წლის დრაფტში აყვანილი 206-სანტიმეტრიანი თავდამსხმელ-ცენტრ ვილის რიდის გარშემო ახალი გუნდის აღმშენებლობა დაიწყო. გუნდი კი ისეთი გამოვიდა, მტერს თვალები დაუდგებოდა.

გუნდის მშენებლობას შესანიშნავი ინჟინერი რედ ჰოლცმანი ჩაუდგა სათავეში. „ნიქსის" ხელმძღვანელობამ მას თამაშების ორი მესამედის წამგები გაზულუქებული ჯეელების ჯგუფი ჩააბარა და ზურგზე ხელი დაჰკრა, აბა, შენ იცი, როგორ გვიშველიო. ჰოლცმანმაც დაიწყო, 1968 წელს რიდს მომავალი ბრწყინვალე მოთამაშე უოლტ ფრეზერი და არცთუ ხეირიანი მობერთალი, თუმც მომავლის დიდი მწვრთნელი, ფილ ჯეკსონი შეემატნენ. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ნბა-ს მომავალი კომისარი დეივ დებუშერი და ქვეყნის პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი ბილ ბრედლი. და ამ „მომავლის" გუნდმა ჩემპიონობას შეუტია. დროც ხელს უწყობდა: 13 სეზონში 11 ჩემპიონობის მოხვეჭის შემდეგ, 1969 წელს, „ბოსტონის" ლეგენდარული ცენტრი ბილ რასელი პენსიაზე გავიდა და ბურთი და მოედანი სხვებს დაუტოვა. ყველაზე უწინ „ნიუ იორკი" მოკალათდა მიტოვებულ ტახტზე.

1969-70 წლების სეზონის „ნიქსი" კლუბის ისტორიაში საუკეთესოდ ითვლება. ნიუიორკელებმა რეგულარული ჩემპიონატი 60 გამარჯვებით (კლუბის რეკორდი) დაასრულეს და თამამად შეაბიჯეს პლეი ოფში. აღმოსავლეთში „ნიქსის" გამჩერებელი არავინ მოიძებნა და ფინალამდე მანძილი ნიუ იორკელებმა ერთ ნახტომში დაფარეს. იქ მათ უილტ ჩემბერლენის, ჯერი ვესტის და ელჯინ ბეილორის „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ელოდა. ორმა ტოლძალოვანმა მეტოქემ ერთმანეთს სისხლი გაუშრო. პირველმა ექვსმა თამაშმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული და მეშვიდეს გამართვის საჭიროება შეიქმნა. აქ „ლეიკერსს" უპირატესობა ჰქონდა — სერიის მეხუთე თამაშში ვილის რიდი დამტვრეულიყო. მეექვსე შეხვედრისი წაგებით ნირწამხდალ ნიუიორკელებს გარანტირებული მარცხი ელოდათ, რიდს გმირობა რომ არ ჩაედინა. ეს ნახევრადინვალიდი კაცი მაინც გამოჩნდა გადამწყვეტი შეხვედრის დაწყებისას მოედანზე. პირველი ორი ბურთი ჩააგდო და შემდეგ კოჭლობით გავიდა. მისი თანაგუნდელების გამოსაცოცხლებლად ეს საკმარისი აღმოჩნდა. ნიუიორკელებს ფრეზერი წაუძღვა გვირაბის გასასვლელისკენ. მან თავისიანთა ყველა შეტევაში მიიღო მონაწილეობა, 36 ქულა დააგროვა, 19 პასი გააკეთა და „ნიქსს" 113:99 გაამარჯვებინა. ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ ვილის რიდი აღიარეს, მან ეს ტიტული სეზონის და „ოლ სტარის" უძვირფასესის ტიტულებს დაუმატა და გახდა პირველი კალათბურთელი, ვინც ერთ სეზონში სამჯერ დასახელდა უძვირფასესად. „ნიქსმა" სამი წლის შემდეგაც დაიდგა ოქროს გვირგვინი. მაშინ რიდის მთავარი დამხმარე ფრეზერთან ერთად ერლ მონროც გახლდათ.

დღეს ნიუიორკელი კალათბურთის ქომაგები ხშირად დავობენ, თუ ვინაა „ნიქსის" ისტორიაში უძლიერესი მოთამაშე. ბევრი ასეთად უოლტ ფრეზერს ან ერლ მონროს ასახელებს, კიდევ უფრო მეტი ვილის რიდს ანიჭებს პირველობას, მაგრამ ისინი, რომლებმაც ქვეყნის უდიდეს ქალაქს ორი ჩემპიონობა მოუტანეს, პოპულარობით ვერ შეედრებიან ერთ კაცს, პატრიკ იუინგს.

იამაიკური წარმოშობის იუინგს კოჭებშივე ეტყობოდა, რაც დაღგებოდა. ნბა-ში მოხვედრამდე პატრიკი სტუდენტური ლიგის სრული ბატონ-პატრონი იყო და არავინ ეჭვობდა, ნბა-ში ბრწყინვალე კარიერა რომ ექნებოდა. ასეც მოხდა. ნიუიორკელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც 1985 წლის დრაფტში პირველ ნომრად „ნიქსმა" 213-სანტიმეტრიანი პატრიკ იუინგი აიყვანა. იუინგმა „ნიქსს" 15 წელი ულიდერა და საერთოდ გუნდის თილისმადაც იქცა, თუმც ამ გუნდმა ვერ გაიმეორა 70-იანელების მიღწევა — „ნიქსი" ორჯერ გავიდა ფინალში. პირველად 1994 წელს, როცა იქ იუინგის „მოსისხლე მტერს" ჰაკიმ ოლაჯუონის „ჰიუსტონ როკიტსს" შეხვდა. სტუდენტობისას იუინგი მუდამ ჯობდა ოლაჯუონს, თუმც ამჯერად სხვაგვარად მოხდა: ჰაკიმის გუნდმა, 4:3 დასცა პატრიკის რაზმი. არადა, „ნიქსი" ხომ 3:2 იგებდა სერიას და ჩემპიონობის ურეალურესი შანსიც ჰქონდა.

ამ დასანანი მარცხიდან ხუთი წლის შემდეგ „ნიუ იორკმა" კვლავ გაიკაფა გზა ფინალისკენ და კიდევ ერთ ტეხასურ გუნდს, „სან ანტონიო სფურზს" შეერკინა. ტრავმირებული იუინგი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ ჩაგრავდნენ მისი კიდევ ერთი ძველი „მტერი" დევიდ რობინსონი და მისი ახალგაზრდა მეწყვილე ტიმ დანკანი ულიდეროდ დარჩენილ „ნიქსს". „სან ანტონიოს" უპირატესობა აშკარა იყო. „ნიქსმა" სერია 1:4 წააგო. „ნიუ იორკ ნიკერბოკერსისთვის" ეს იყო მერვე და ჯერჯეროვით უკანასკნელი ფინალი. მისი წაგებიდან ერთი წლის შემდეგ, ანუ დღეისთვის ერთი წლის წინ, „ნიუ იორკმა" დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ბებერი, მაგრამ მაინც მძლავრი იუინგი „სიეტლში" გაცვალა. პატრიკმა „ნიქსი" დატოვა, როგორც კლუბის ისტორიაში უპირველესმა მექულემ და მომხსნელმა.

იუინგის წასვლით „ნიუ იორკის" ისტორიაში ახალი ქვეთავი იწყება და არცთუ კარგად. „ნიქსს" პირველივე სეზონში დაეტყო დიდი კაცის არყოფნა. 2001 წლის პლეი ოფის პირველივე წრიდან გამოაგდო „ტორონტომ", ასეთი რამ კი 1991 წლის შემდეგ არ მომხდარა. „ნიუ იორკის" ხელმძღვანელები ყველას გასაგონად გაიძახიან, პატრიკი მოხუცდა და როდესმე ხომ უნდა გაგვეშვაო, მაგრამ გულში მწარედ ნანობენ შეცდომას.

**ირაკლი ფირცხვილი**



პატრიკ იუინგი 15 წელი იყო „ნიუ იორკის" ღერძი



„ნიქსის" ორი ჩემპიონობის ორი მთავარი შემოქმედი: ვილის რიდი...



...და უოლტ ფრეზერი



გიო ახვლედიანის

სვეტი

# მოვიდა, მოვიდა...

როგორც ერთ სიმღერაშია, მაიკლ ჯორდანი კალათბურთის მეფე იყო და წავიდა.

ახლა კი ირკვევა, რომ ორმოცს მიტანებული ჯორდანი ბრუნდება და თუ რაიმე ისეთი არ მოხდა, მის სპორტულ ფორმას რომ წაახდენს, წლეულს „ვაშინგტონ ვიზარდსში" ითამაშებს.

ეს საინტერესო ამბავია და სასიხარულო ამბავიც არის.

როგორი იქნება ახალი ჯორდანი?

ალბათ, მაგარი იქნება, თუმცა, საინტერესო ის არის, რომ ამ ბოლო დროს, სპორტის მეფეებს ძალიან უჭირთ მოედნიდან გასვლა. ხომ გახსოვთ, რამდენი იწვალა დიეგო მარადონამ, სანამ დარწმუნდებოდა, რომ ძველებურად თამაში აღარ შეუძლია? ბარე ოთხჯერ წავიდა და დაბრუნდა.

ახლაც, ორმოცს გადაცილებული მარადონა კიდევ ერთხელ აპირებს მოედანზე გამოსვლას და ჯიუტად არ არქმევს ამ შოუს „გამოსათხოვარ მატჩს". არავითარი გამოთხოვება, ეს ერთგვარი შემაჯამებელი შეხვედრაა.

მაიკლ ჯორდანმა ლამის წელიწადნახევარს ითამაშა ბეისბოლი და მერე, ყველასთვის მოულოდნელად დაბრუნდა „ჩიკაგო ბულზში", რომელსაც ახალი სეზონიდან ძველებური ელვარება შესძინა და კიდევ სამ წელიწადს ამყოფა ტახტზე.

მერე ჯორდანი წავიდა და ერთხანს კლუბების შერჩევით იყო დაკავებული, ბოლოს კი მაჩანჩალა ვაშინგტონური გუნდის პატრონი შეიქნა.

და აი, ჯორდანი კვლავ უბრუნდება მწყობრს.

როგორ არ გავიხსენოთ კიდევ ერთი დიდი სპორტსმენი, ჰოკეისტი მარიო ლემიე?

ლემიეც კლუბის მეპატრონეა, მისთვის მშობლიური „პიტსბურგ პინგვინზისა" და შარშანდლიდან კვლავ ყინულზეა.

მეტიც, კანადის ოლიმპიურ გუნდშიაც კი ამოყო თავი. საინტერესო ის არის, რომ ლიმფური ჯირკვლის კიბოთი ტანჯული ლემიე კვლავ რჩება „პინგვინზის" ლიდერად და მთავარ დამრტყმელ ძალად. ანუ, ისე არ არის, რომ ყინულზე მხოლოდ სახელი დასრიალებდეს.

ცხადია, რომ ჯორდანიც ასე იქნება.

საერთოდ, ჩანს, რომ ვარსკვლავები აღარ ბერდებიან. თუ რა თქმა უნდა კოკაინს არ გადაყოლეს თავი.

ჩვენ კი სიხარულით უნდა წავილიღინოთ: მოოვიდაა, მოოვიდაა, რადგან წასვლა მოდაში აღარ არის.

მაიკლ ჯორდან, გელოდებით...

# რუსული კალათბურთის იმედს გულმა უმტყუნა

## სავარსკვლავოდ გამზადებულ იადგარ კარიმოვს გაბრწყინება არ დასცალდა

**მთელი** რუსეთის საკალათბურთო საზოგადოება შეძრა გუშინ გავრცელებულმა ცნობამ. ყაზანის „უნიქსისა" და რუსეთის ნაკრების წევრი, 20 წლის იადგარ კარიმოვი გარდაიცვალა.

კარიმოვის გვამი 13 სექტემბერს, შუადამისას, ყაზანის ერთ-ერთი სასტუმროს იმ ნომრის სააბაზანოში აღმოაჩინა მისმა თანაგუნდელმა და მეგობარმა, იგორ ზამანსკიმ, რომელშიც გარდაცვლილი ცხოვრობდა. უკანასკნელად კარიმოვი ზამანსკიმვე 12 სექტემბერს, დღის ოთხ საათზე ნახა. ისინი „უნიქსის" ახალწვეულები იყვნენ და სასტუმროში მეზობელ ნომრებში ცხოვრობდნენ.

„მე მას ნომერში შევუარე, ჩვენი ფარმ-კლუბის მატჩზე უნდა წავსულიყავით, რომელიც ხუთ საათზე იყო დანიშნული. იადგარმა შინ დარჩენა ისურვა და მითხრა, მოგვიანებით მოვალო, მაგრამ არ გამოჩენილა — იხსენებს ზამანსკი — არც შვიდ საათზე, გუნდის ვარჯიშზე გამოცხადდა. ჩვენ გვერდიგვერდ ვცხოვრობდით და მისი ყოველი ფეხის ნაბიჯი კარგად მესმის ხოლმე, მაგრამ როცა სასტუმროში დავბრუნდი, მისი ნომრიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ვიფიქრე, გასულა-მეთქი. მაგრამ ღამის თორმეტი საათი ხდებოდა და იგი კვლავ არ ჩანდა. ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი, მის ოთახზე მივაყურადე და კონდიციონერის ხმა მომესმა, რომელიც სააბაზანოში შესვლისას ავტომატურად ირთვება. შევედი მის ნომერში, შემდეგ სააბაზანოში და იადგარი იატაკზე პირაღმა მწოლიარე ვნახე. ის უკვე გარდაცვლილიყო".

კარიმოვს ტანზე ძალადობის არანაირი ნიშანი არ აღმოაჩნდა. გაკვეთამ დაადასტურა, რომ ახალგაზრდა კალათბურთელი გულის ინფარქტით გარდაიცვალა, თუმც საბოლოოდ ყველაფერი ერთ კვირაში, ლაბორატორიული გამოკვლევის შემდეგ დადასტურდება.

წლეულს გულის ინფარქტმა კარიმოვის დედაც იმსხვერპლა. გავრცელდა ხმები, თითქოს კალათბურთელს გულის თანდაყოლილი დაავადება სჭირდა. თუმცა, როგორც მოსკოვის ცსკა-ს გენერალური დირექტორი ანდრეი კიმი აცხადებს, კარიმოვს შარშან მოსკოვურ გუნდში სრული სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა და იგი აბსოლუტურად ჯანმრთელად ცნეს, ექიმებს მისთვის ვარჯიში არ აუკრძალავთ.

იადგარ კარიმოვის სიკვდილმა მის ახლობლებს თავზარი დასცა. ანდრეი კირილენკოს, კარიმოვის ახლო მეგობარსა და თანაგუნდელს ეს ხუმრობა ეგონა და დიდხანს არ იჯერებდა ამ ამბავს.

კარიმოვი რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და პერსპექტიულ კალათბურთელად ითვლებოდა. იგი 1981 წლის 16 ივლისს უზბეკეთში, ქალაქ ბექაბადში დაიბადა. ცნობილი რუსი მწვრთნელის, ოლეგ კიმის გამოზრდილმა 210-სანტიმეტრიანმა ცენტრმა თამაში 1996 წელს „სამარაში" დაიწყო. მომდევნო ორი სეზონი კარიმოვმა ტულის „არსენალში" გაატარა, სადაც რუსეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. შემდეგ კი ორი სეზონი ზარეჩნის „სოიუზში" ითამაშა, ხოლო ბოლო სეზონში მოსკოვის ცსკა-ში დაჰყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას გვერდიდან არ მოშორებია მისი პირველი მწვრთნელი და აღმზრდელი ოლეგ კიმი. კარიმოვი უმამოდ გაიზარდა და კიმმა ობლობა არ აგრძნობინა. ამ ორი ადამიანის გზები ამ ზაფხულში გაიყარა, როცა იადგარი ცსკა-დან სათამაშოდ „უნიქსში" გადაბარგდა. როგორც რუსული პრესა იუწყება, კარიმოვის სიკვდილი ყველაზე მეტად სწორედ კიმმა განიცადა. თავზარდამცემი ამბის შუაღამისას გაგების შემდეგ, გაოგნებული და დაბნეული ოლეგ კიმი ქუჩაში გამოვარდნილა, მანქანა გაუჩერებია და სარატოვიდან ყაზანს ჩასულა.



იადგარ კარიმოვი

იადგარ კარიმოვს ახლახან თურქეთში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზეც უნდა ესპარეზა, მაგრამ გამგზავრების წინა დღეებში რუსეთის ნაკრების ბოლო საკონტროლო მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო და გუნდს გამოაკლდა.

ცსკა-ს, „უნიქსისა" და რუსეთის ნაკრების წევრებმა უკვე დაიწყეს თანხის შეგროვება, რომელსაც განსვენებულის ოჯახის ერთადერთ წევრს, მცირეწლოვან დას გადასცემენ.

**ირაკლი პერტაია**

# მსაჯებს კვლავ ქურიძე უთავკაცებს

**სამ** თვეზე მეტხანს ანუ „სტუ-ჯეოსელისა" და რუსთავის „აზოტის" ნახევარფინალურ მატჩში მომხდარი დაკა-დაკას შემდეგ საქართველოს კალათბურთის მსაჯთა ასოციაცია უთავკაცოდ იყოს. მაშინ ამ უწყების თავმჯდომარემ ზემოხსენებულ მატჩში მომხდარი ვანდალიზმის შემდეგ თანამდებობა დატოვა. გუშინ კი ამ ორგანიზაციამ ახალი ხელმძღვანელობა აირჩია.

სპორტის დეპარტამენტში გამართულ მსაჯთა ასოციაციის ყრილობაზე, თავმჯდომარე, მისი მოადგილე, რომელიც იმავდროულად სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე იქნება, მდივანი და აღმასრულებელი საბჭოს კიდევ ორი წევრი აირჩიეს. თავმჯდომარის პოსტზე წამოყენებულმა ერთადერთმა კანდიდატმა, ამ თანამდებობიდან ერთხელ უკვე გადამდგარმა მურმან ქურიძემ ასოციაციის წევრებს თავისი პროგრამა წარუდგინა. ქურიძე შეკრებილთ დაჰპირდა, რომ მისი არჩევის შემთხვევაში შემდეგ საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას: მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი კორპუსის შევსებაზე ზრუნვა, ანაზღაურების გაზრდა, უნიფორმით უზრუნველყოფა და კარგად დაცული, მყუდრო ოთახის გამოყოფა, ღირსებისა და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. მან აგრეთვე აღუთქვა მსაჯებს, რომ კალათბურთის ფედერაციის ეგიდით მოწყობილ ყველა შეჯიბრსა თუ ტურნირს ასოციაციის მიერ ლიცენზირებული მსაჯები მოემსახურებიან. ამის შემდეგ მურმან ქურიძე ერთხმად აირჩიეს მსაჯთა ასოციაციის თავმჯდომარედ. მის მოადგილედ თენგიზ ქიქოძე გაამწესეს, მდივნად მანანა მოსულიშვილი, ხოლო მათ გარდა აღმასრულებელი საბჭოს წევრები როლანდ გელოვანი და ასოციაციაში აჭარის რეგიონის წარმომადგენელი თემურ კახიძე გახდნენ.

**ირაკლი პერტაია**



საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი

# ჩემპიონატი არდადეგებიდან განახლებული გვიბრუნდება

**ერთი** დღეც და განახლდება ეროვნული ჩემპიონატი. ხვალ კვლავ ახმაურდება ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანი. თითქმის თვენახევრიანი შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, დაადგა საშველი ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებას. ხან კლუბების თხოვნა, ხანაც უფულობა იყო მიზეზი შესვენების გაჭიანურებისა. საბოლოოდ დავალიანება დაფარა უმაღლესი ლიგის ოთხმა მოწინავემ. აი, ქვემო ოთხეულს კი გვარიანად უჭირს და ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა ჯერ კიდევ არ შეუტანია რაგბის კავშირში. სანამ ბიუჯეტცარიელი კლუბები ფინანსების გამოძებნას ცდილობენ, მანამდე საუკეთესო ოთხეული განაგრძობს ბზის თასისთვის ბრძოლას.

ხვალ ვარკეთილის მეურნეობის მოედანზე მეტად პრინციპული მატჩი გაიმართება. ვიცე-ჩემპიონი „ყოჩები" ამბიციამოძალებულ და შარშან საჩემპიონო ტახტიდან ჩამოგდებულ ბათუმის „დათვებს" უმასპინძლებს. ძნელია ივარაუდო, თუ რომელი გუნდი გაიმარჯვებს. ორივემ გვარიანად იზარალა მორაგბეების მიგრაციით. თუმც უფრო „დათვები" დასუსტდნენ. მათ ძირითადი ბირთვი დაკარგეს — კახა მაჩიტიძემ, გიგა გურეშიძემ და დავით აშვეთიამ საფრანგეთს მიაშურეს უკეთესი მომავლის საძიებლად. არანაკლებ სერიოზული ძალა გამოაკლდათ „ყოჩებსაც", თუმც მათი გასაჭირი ზღვისპირელებთან რა მოსატანია.

საზაფხულო არდადეგებზე „ყოჩების" და „დათვების" უფროსობამ სერიოზულად იზრუნა გუნდების მოსამზადებლად. ასე რომ, მეტოქეები შეკრებაგავლილნი და მოღონიერებულნი დაეჯახებიან ერთმანეთს.

დაძაბული იქნება ქუთაისური მატჩიც. შუაგულ იმერეთში თვით ჩემპიონი და თასის მფლობელი „ლოკომოტივი" ჩადის ადგილობრივ „აიასთან" სათამაშოდ. საფრანგეთში მორაგბეთა მიგლინებამ თავისი დაღი დაასვა რკინიგზელებსაც. თემურ ბენდიაშვილს, ფაქტობრივად, ახალი გუნდის კეთება მოუწევს. მიუხედავად ამისა, თემურის რაზმი მაინც ბზის თასის მთავარ ფავორიტად რჩება. თავის მხრივ, უკან დახევას არც ქუთათურები აპირებენ. ქუთაისში ნიჭიერ თაობას რა გამოლევს და რაღა ახლა არ მოიძებნებოდნენ პერსპექტიული ახალგაზრდები. „აიას" მთავარი მწვრთნელის, დიმიტრი ფულარიას ხელში კარგი მასალაა, მთავარია, იგი სწორად დამუშავდეს, რაც ქუთაისელთა თავკაცს ნამდვილად არ შეეშლება.

ქუთაისის „დინამოს" სტადიონზე დაძაბულ და ფრიად საინტერესო დაპირისპირებას უნდა ველოდოთ. აქეთ გამოცდილება და უკვე დამკვიდრებული შემადგენლობა და იქით ენთუზიაზმი და ახალგაზრდული ჟინი. რაც მთავარია, ქუთაისში გულშემატკივარმა რაგბისკენ მოიხედა და ყოველ საშინაო მატჩზე „აიას" ქომაგთა დიდი არმია უმაგრებს ზურგს.

**გაჩო სვანიძე**

| |
|---|
| 16 სექტემბერი, I ტური |
| **ყოჩები — დათვები** |
| **აია — ლოკომოტივი** |
| 23 სექტემბერი, II ტური |
| **დათვები — აია** |
| **ლოკომოტივი — ყოჩები** |
| 30 სექტემბერი, III ტური |
| **ლოკომოტივი — დათვები** |
| **აია — ყოჩები** |
| 14 სექტემბერი, IV ტური |
| **დათვები — ყოჩები** |
| **ლოკომოტივი — აია** |
| 21 ოქტომბერი, V ტური |
| **აია — დათვები** |
| **ყოჩები — ლოკომოტივი** |
| 28 ოქტომბერი, VI ტური |
| **დათვები — ლოკომოტივი** |
| **ყოჩები — აია** |
| 18 ნოემბერი |
| **პლეი ოფის I ტური** |
| 25 ნოემბერი |
| **პლეი ოფის მცირე ფინალი** |
| 2 დეკემბერი |
| **ფინალი** |



ნუგზარ ძიძიგურის ფოტო

ბათუმის „დათვები" (მარცხნივ) თბილისის „ყოჩები" ვარკეთილში წლეულს მეორედ დაეჯახებიან



უმასპინძლებს „მედისონ სკვერ გარდენი" მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს?

# საჭიდაო ხალიჩაზე ბურუსი ჩამოწვა

**ჭიდაობის** სახეობათა წარმომადგენლებს, ანუ ქართული სპორტის გამწევ ძალას, არაერთხელ გავუხარებივართ. წლევანდელი სეზონიც ომახიანად დავიწყეთ. ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ევროპის ახალგაზრდულ თუ დიდების ჩემპიონატებზე გარდა იმისა, რომ სამივე სახის მედლები მოიპოვეს, გუნდური საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატიდანაც ოქრო-ვერცხლ-ბრინჯაოთი დახუნძლულები დაგვიბრუნდნენ და გუნდური საპრიზო ადგილიც დაიკავეს, ახლა კი ესტაფეტა დიდებს გადასცეს.

მოგეხსენებათ, 26-29 სექტემბერს ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში" ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს 35-ე ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. მსოფლიოს უმთავრეს ხალიჩაზე, რა თქმა უნდა, ქართველ ფალავნებსაც ელიან ისევე, როგორც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც, მაგრამ ნიუ იორკსა და ვაშინგტონში სამშაბათს დატრიალებული საზარელი ტერორისტული აქტების გამო ამერიკის ამ მეგაპოლისში ამგვარი ღონისძიების ჩატარების მართებულობა საეჭვო გახდა. არადა, ფსიქოლოგიურად ყველა უკვე იმისთვის იყო განწყობილი (სპორტსმენებს ვგულისხმობ), რომ ნიუ იორკში ეასპარეზა. ტერაქტების გამო ერთობ გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა. კერძოდ, არაერთხელ გაისმა მოსაზრება, რომ ამერიკელებს ახლა არ სცხელათ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ყველას აფიქრებს, რამდენად იქნება დაცული უსაფრთხოების ნორმები. ესეც რომ არა, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანამ ნიუ იორკში გამგზავრებისგან თავი შეიკავა, უფრო სწორედ, ამერიკელებს შეუთვალეს, ჩვენ მანდ ჩამომსვლელები არ ვართო. ძნელია, ამ დროს მათ რაიმე დააძალო, მაგრამ შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ იმ ქვეყანათა რიცხვს მუსულმური სახელმწიფოები უნდა განეკუთვნებოდნენ. მით უმეტეს, თუ ბოლოდროინდელი მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათი სიფრთხილე თუ შიში გასაგებიცაა, რადგან, მოგეხსენებათ, ტერაქტების შემდეგ ამერიკაში საკმაოდ გახშირდა თავდასხმები მუსულმური რელიგიის წარმომადგენლებზე, რომ არაფერი ვთქვათ მეჩეთების რბევის ფაქტებზე. არადა, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ისლამური აღმსარებლობის მოჭიდავეები ერთ-ერთი მოწინავენი არიან მსოფლიოში. მათ გარეშე მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებას აზრი ეკარგება. გამოჩნდნენ ქვეყნებიც, რომლებიც მზად არიან, მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლონ. უნგრეთი და სლოვენია მოჭიდავეებს შინაურ კედლებს უთმობენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ბურუსითაა მოცული. თუმც როგორც გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში გვითხრეს, ამ პრობლემიდან გამოსასვლელი გზების საძიებლად დღეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში (ფილა) ბიუროს წევრთა საგანგებო სხდომაა დანიშნული. ყველა კითხვაზე პასუხს ჭიდაობის მამებმა დღეს უნდა გასცენ პასუხი. მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს ან ნიუ იორკი, როგორც ეს თავიდანვე იყო ფილა-ს კალენდრით განსაზღვრული, ან სხვა რომელიმე ქვეყანა. ამის შესახებ ამ ორიოდე დღის წინ განაცხადა ფილა-ს პრეზიდენტმა მილან ერცეგანმაც: „ჩატარდება თუ არა ნიუ იორკში მსოფლიოს ჩემპიონატი, როგორც ეს თავიდანვე გახლდათ გათვალისწინებული, ამაზე ზუსტი პასუხი მას შემდეგ მექნება, რაც ჩემს ამერიკელ კოლეგებთან კონსულტაციებს გავმართავ".

თავის მხრივ მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს მოჭიდავეთა უმთავრესი ღონისძიების სხვაგან გადატანის გაგონებაც არ სურთ და აცხადებენ კიდეც, ჩვენი გატეხვა შეუძლებელიაო.

ასეა თუ ისე, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაველოდოთ. ქართველი ფალავნები კი, მიუხედავად ყველაფრისა, ვარჯიშს ჩვეულებრივი რიტმით აგრძელებენ. ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ამჟამად ბორჯომში გალიან შეკრებას. თუ ყველაფერი გეგმისამებრ წარიმართა, მაშინ საქართველოს 25-კაციანი დელეგაცია ნიუ იორკში 24 სექტემბერს გაემგზავრება. აი, ისინიც, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. დავიწყოთ ბერძნულ-რომაული სტილით: *ვაჟა ომანიძე (54კგ), ირაკლი ჭოჭუა (58კგ), აკაკი ჩაჩუა (63კგ), ალექსანდრე დოხტურიშვილი (69კგ), გიორგი ჯინჭველაშვილი (76კგ), მუხრან ვახტანგაძე (85კგ), გენადი ჩხაიძე (97კგ), მირიან გიორგაძე (მძიმე წონა).* „თავისუფლებიდან" კი იასპარეზებენ: *გოჩა კირკიტაძე (54კგ), დავით პოლოსიანი (58კგ), ოთარ თუშიშვილი (63კგ), ემზარ ბედინეიშვილი (69კგ), რევაზ მინდორაშვილი (76კგ), მალხაზ ჯორბენაძე (85კგ), ელდარ კურტანიძე (97კგ), ალექსი მოდებაძე (მძიმე წონა).*

**გიგა გურასაშვილი**


# იყიდება

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 78 28 77**



# იყიდება

ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა
ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე-5 სართული

**ტელ: 75 99 49**






# ტერორიზმი ვერ გვაჯობებს

**ოკეანისგაღმა** დატრიალებული საშინელი ტრაგედიის გამო იტალიის დიდი პრიზის გათამაშება თავიდან კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ ორგანიზატორებმა ბოლოს მაინც გადაწყვიტეს რბოლის ჩატარება. თუმც, ცხადია, ყველამ ერთსულოვნად დაგმო აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია.

საფორმულო გუნდების შეფთუხუცესი ფრენკ უილიამსი: „ასეთი საშინელების მიუხედავად, ცხოვრება მაინც გრძელდება და რბოლაც, რასაკვირველია, უნდა გაიმართოს. მე ვესაუბრე საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნს, რომელიც სავსებით იზიარებს ამ აზრს — ტერორიზმმა არ უნდა გვაჯობოს". მიხაელ შუმახერმა ჩემპიონატის მონაწილეთა სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა ამერიკელ ხალხს.

არადა, მიხაელი და „ფერარის" მთელი უამრავ კაც-ქალიანი კოლექტივი სწორედ მონცაში აპირებდა წლევანდელი აბსოლუტური ჩემპიონობის ზარ-ზეიმით აღნიშვნას. სამწუხაროდ, ქეიფისთვის ამჟამად არავის სცხელა — ეს შაბათ-კვირა ყველასთვის მხოლოდ ჩვეულებრივი სამუშაო დღეები იქნება. მეტიც, დაღუპულთათვის თანაგრძნობის გამოსახატად „სკუდერიის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მათ ბოლიდებს არც ერთი სარეკლამო ლოგოტიპი არ დაამშვენებს და რბოლაც წმინდა სპორტული ღონისძიება იქნება, სიხარულისა და იტალიელებისთვის ჩვეული პომპეზურობის გარეშე.

ევროპის უძველესი ავტოდრომი ხვალ 51-ედ უმასპინძლებს სამეფო რბოლებს, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. „აუტოდრომო ნაციონალეს" მარტივი პროფილის და ამის გამო ზესწრაფ ტრეკზე უპირატესობა მძლავრ ძრავიანი ბოლიდების მხარეზეა. ასე რომ, ხვალ „უილიამსისა" და „ფერარის" პილოტების ტრიუმფს უნდა ველოდეთ.

მოქმედ მრბოლთაგან იქ მხოლოდ მიხაელ შუმახერს, დევიდ კულჰარდს და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს გაუმარჯვიათ. შუმის ანგარიშზე ყველაზე მეტი — 37 ქულაა. შემდეგ მოდიან მიკა ჰაკინენი (23), ჟან ალეზი (22), ფრენცენი (18), რალფ შუმახერი (14), კულჰარდი (13), რუბენს ბარიკელო (8).

ხვალ ორი მრბოლის, ჩეხ ტომაშ ენგესა და მალაიზიელ ალექს იონგის დებიუტი შედგება. 25 წლის პილოტები უილბლო ბრაზილიელებს — ლუჩანო ბურტისა და ტარსო მარკეშს შეცვლიან. გუშინ კი გავრცელდა ფორმულის ალბათ ყოველი გულშემატკივრისთვის საწყენი ცნობა, რომ ორგზის ჩემპიონი მიკა ჰაკინენი სეზონის დასრულების შემდეგ სამეფო რბოლებს გამოეთხოვება. ამბობენ დროებით, სულ ერთი წლითო. ვნახოთ. „მაკლარენის" კოკპიტში „დიდი ფინელის" ადგილს მისი 21 წლის თანამემამულე, „ამომავალი ვარსკვლავი" კიმი რაიკონენი დაიკავებს.

**გია ახალაძე**

# F1

მეთხუთმეტე ეტაპი — იტალიის დიდი პრიზი

## აუტოდრომო ნაციონალე

*მონცა, 16 სექტემბერი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . 5.783 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . 53 წრე — 306.500 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ჰაკინენი (მაკლარენი); 3 რ. შუმახერი (უილიამსი); 4 ფერსტაპენი (ეროუსი); 5 ვურცი (ბენეტონი); 6 ზონტა (BAR)

**წრის რეკორდი:** 1997 — ჰაკინენი (მაკლარენი) 1:24.808

## ყველა გამარჯვებული

| | | | |
|---|---|---|---|
| 1950 | ჯუზეპე ფარინა | იტალია | ალფა რომეო |
| 1951 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1952 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1953 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მაზერატი |
| 1954 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მერსედესი |
| 1955 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მერსედესი |
| 1956 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | მაზერატი |
| 1957 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | ვენუოლი |
| 1958 | ტონი ბრუქსი | დიდი ბრიტანეთი | ვენუოლი |
| 1959 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | კუპერი |
| 1960 | ფილ ჰილი | აშშ | ფერარი |
| 1961 | ფილ ჰილი | აშშ | ფერარი |
| 1962 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | BRM |
| 1963 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1964 | ჯონ სარტისი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1965 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | BRM |
| 1966 | ლუიჯი სკარფიოტი | იტალია | ფერარი |
| 1967 | ჯონ სარტისი | დიდი ბრიტანეთი | ჰონდა |
| 1968 | დენის ჰალმი | ახალი ზელანდია | მაკლარენი |
| 1969 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | მატრა |
| 1970 | კლეი რეგაცონი | შვეიცარია | ფერარი |
| 1971 | პიტერ გეტინი | აშშ | BRM |
| 1972 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1973 | რონი პეტერსონი | შვედეთი | ლოტუსი |
| 1974 | რონი პეტერსონი | შვედეთი | ლოტუსი |
| 1975 | კლეი რეგაცონი | შვეიცარია | ფერარი |
| 1976 | რონი პეტერსონი | შვედეთი | მარჩი |
| 1977 | მარიო ანდრეტი | აშშ | ლოტუსი |
| 1978 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ბრებემი |
| 1979 | ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | ფერარი |
| 1980 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი |
| 1981 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | რენო |
| 1982 | რენე არნუ | საფრანგეთი | რენო |
| 1983 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი |
| 1984 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | მაკლარენი |
| 1985 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1986 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | უილიამსი |
| 1987 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | უილიამსი |
| 1988 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | ფერარი |
| 1989 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1990 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1991 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1992 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1993 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1994 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1995 | ჯონი ჰერბერტი | დიდი ბრიტანეთი | ბენეტონი |
| 1996 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1997 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1998 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1999 | ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | ჯორდანი |
| 2000 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |





მიხაელ შუმახერი და „ფერარი" მონცაში სადად, ჭრელა-ჭრულა რეკლამების გარეშე ირბოლებენ

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ბაიერნი-ფრაიბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 002 | ბაიერნი-ფრაიბურგი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.30 | 003 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2.1 | 3,0 | 3,3 |
| 18.30 | 004 | ნიურნბერგი-კაიზერსლაუტერნი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 18.30 | 005 | ვერდერი-კიოლნი | 1.8 | 3.1 | 4,0 |
| 18.30 | 006 | ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 1.9 | 3.1 | 3,6 |
| 18.30 | 007 | ლევერკუზენი-სტ. პაული | 1,3 | 4.4 | 8,0 |
| | 008 | ლევერკუზენი-სტ. პაული 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.30 | 009 | შალკე-დორტმუნდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 010 | ჰერტა-მიუნხენი | 1,7 | 3,2 | 4.4 |
| 20.30 | 011 | ჰანზა-კოტბუსი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VI ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | როიტლინგენი-ალემანია | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 016 | ბაბელსბერგი-უნტერჰახინგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 017 | შვაინფურტი-ფიურტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 018 | ჰანოვერი-კარლსრუე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 019 | ვალდჰოფი-უნიონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 020 | აინტრახტი-არმინია | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VIII ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 024 | მაგდებურგი-ესენი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.00 | 025 | ფორტუნა-მიუნსტერი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 17.00 | 026 | ურდინგენი-ბაე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 17.00 | 027 | ფერლი-დიუსელდორფი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.00 | 028 | ლიუბეკი-კოტენშაიდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 029 | დრეზდენი-კილი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 030 | პადერბორნი-ვერდერი (მ.) | 1,8 | 3.2 | 3,8 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VIII ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 037 | ვეჰენი-ბურგჰაუზენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 17.30 | 038 | რეგენსბურგი-ოფენბახი | 2.3 | 3,1 | 2.8 |
| 18.00 | 039 | კოვერსი-ფულდა | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 040 | კაიზერსლაუტერნი (მ.)-აალენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.00 | 041 | ბაიერნი (მ.)-შტუტგარტი (მ.) | 1,6 | 3,4 | 5,0 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 042 | ევერტონი-ლივერპული | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-საუთჰემპტონი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 044 | დერბი-ლესტერი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 045 | ფულემი-არსენალი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 046 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 047 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 3,4 | 3,1 | 2,0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 048 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 18.00 | 049 | ჩარლტონი-ლიდსი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 050 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 051 | იფსვიჩი-ბლექბერნი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტური.

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 052 | ლესტერი-მიდლსბრო | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. VII ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 055 | სიტი-ბირმინგემი | 2.0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 056 | ბარნსლი-ქრიუ | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 057 | ბარნლი-უოლსოლი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 058 | გრიმსბი-ნოტინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 059 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 060 | პრესტონი-მილუოლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 061 | როტერჰემი-ნორვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 062 | შეფილდი-ქოვენტრი | 2.3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 063 | უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 064 | უიმბლდონი-უენსდი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 065 | ვულვერჰემპტონი-სტოკპორტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. VIII ტური.

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 066 | ნოტინგემი-როტერჰემი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 23.45 | 067 | უენსდი-ბრედფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი. VII ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 070 | ბორნმუთი-ბერი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 071 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 072 | კემბრიჯი-კარდიფი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 19.00 | 073 | ჰადერსფილდი-ბლეკპული | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 074 | ნორთჰემპტონი-ჩესტერფილდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 075 | ნოტსი-ბრენტფორდი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 076 | ოლდემი-პიტერბრო | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 077 | ქუინს პარკი-პორტ ვეილი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 078 | სტოკი-რედინგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 079 | სუინდონი-ტრანმერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 080 | უიკომბი-უიგანი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. VII ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 083 | ჩელტენემი-კარლაილი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 084 | ექსეტერი-ოქსფორდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 085 | კიდერმინსტერი-პლიმუთი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 086 | ლეიტონი-რაშდენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 087 | ლინკოლნი-როვერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 088 | მაკლსფილდი-ჰალი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 089 | როჩდეილი-სკანთორპი | 1,7 | 3.2 | 4,4 |
| 19.00 | 090 | საუთენდი-ჰარტლპული | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 091 | სუონსი-ჰალიფაქსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 092 | ტორკი-დარლინგტონი | 2.5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 093 | იორკი-ლუტონი | 2,5 | 3.0 | 2,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. VII ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 094 | ლიონი-ნანტი | 1.65 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 095 | ბასტია-ოსერი | 2,2 | 3.0 | 3,1 |
| 23.00 | 096 | გენგამი-მეცი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 097 | ლანსი-სოშო | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 098 | მონპელიე-რენი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 099 | ტრუა-ლილი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 100 | ბორდო-მონაკო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 101 | ლორიანი-პსჟ | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.45 | 102 | სედანი-მარსელი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. VIII ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 105 | შატორუ-ისტრი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 106 | კრეტეი-ლე ავრი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 107 | გრენობლი-აიაჩო | 2.3 | 2.9 | 3,0 |
| 23.00 | 108 | ლე მანი-ამიენი | 2.1 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 109 | ნანსი-ლავალი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 23.00 | 110 | ნიმი-ნიორი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 111 | სტ. ეტიენი-გენიონი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 112 | ბოვე-სტრასბური | 2,5 | 2,9 | 2,6 |

### იტალია. სერია „ა“. III ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 113 | იუვენტუსი-კიევო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 114 | იუვენტუსი-კიევო 0:1 | 1,8 | 3,1 | 2,8 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 115 | ბოლონია-პარმა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.00 | 116 | ბრეშა-ლეჩე | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 18.00 | 117 | ფიორენტინა-ატალანტა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 118 | ინტერი-ვენეცია | 1,25 | 5.0 | 9,0 |
| | 119 | ინტერი-ვენეცია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 18.00 | 120 | ლაციო-ტორინო | 1,3 | 4.4 | 8,0 |
| | 121 | ლაციო-ტორინო 0:1 | 1,85 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 122 | პიაჩენცა-რომა | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 18.00 | 123 | ვერონა-პერუჯა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.30 | 124 | უდინეზე-მილანი | 3,0 | 2,9 | 2,3 |

### იტალია. სერია „ბ“. IV ტური.

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 126 | კომო-სალერნიტანა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 18.00 | 127 | კროტონე-კალიარი | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 18.00 | 128 | მესინა-ანკონა | 2.4 | 2.7 | 3,0 |
| 18.00 | 129 | პისტოიეზე-კოზენცა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 18.00 | 130 | სამპდორია-ემპოლი | 2.0 | 2.9 | 3,6 |
| 18.00 | 131 | სიენა-ჯენოა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 18.00 | 132 | ტერნანა-მოდენა | 1.75 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 133 | ნაპოლი-ვიჩენცა | 2,0 | 2,8 | 3,8 |

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 134 | ჩიტადელა-რეჯინა | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### იტალია. სერია „ც1-ა“. III ტური.

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 135 | ალბინოლეფე-ტრიესტინა | 1,85 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 136 | ალძანო-სპეცია | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 137 | არეცო-ლივორნო | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 138 | კარარეზე-პადოვა | | 2.8 | 5,6 |
| 18.00 | 139 | ჩეზენა-რეჯანა | 1,85 | 2.7 | 4,7 |
| 18.00 | 140 | ლუმეცანე-მონცა | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 141 | პიზა-ლუკეზე | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 142 | სპალ-ლეკო | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 143 | ვარეზე-ტრევიზო | 2,6 | 2,5 | 2,9 |

### იტალია. სერია „ც1-ბ“. III ტური.

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 144 | ასკოლი-კოეტი | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 18.00 | 145 | აველინო-ტორესი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 146 | კატანია-ლანჩანო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 18.00 | 147 | ჯულიანოვა-ვიტერბეზე | 1.8 | 2,8 | 4,7 |
| 18.00 | 148 | ლოდიჯანი-ბენევენტო | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 149 | პესკარა-პილა | 1.55 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 150 | სორა-ფერმანა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 151 | ტარანტო-დი სანგრო | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 152 | პეზარო-ნოჩერინა | 2,0 | 2,6 | 4,2 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. III ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 154 | დეპორტივო-ბილბაო | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 155 | დეპორტივო-ბილბაო 0:1 | 2,0 | 3.2 | 2.3 |
| 23.00 | 156 | მალიორკა-ალავესი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 00.30 | 153 | ბეტისი-რეალი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 00.30 | 157 | ოსასუნა-ბარსელონა | 4,0 | 3,1 | 1,8 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 162 | სოსიედადი-სელტა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 21.00 | 164 | ესპანიოლი-სევილია | 1.75 | 2,9 | 4,7 |
| 22.00 | 158 | რაიო-სარაგოსა | 2.1 | 2,9 | 3,4 |
| 22.00 | 159 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 22.00 | 163 | ტენერიფე-ვილიარეალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 160 | ვალენსია-ლას პალმასი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 161 | ვალენსია-ლას პალმასი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2.3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. IV ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 166 | უელვა-კორდობა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 21.30 | 171 | ფეროლი-პოლი ეხიდო | 1.7 | 2,9 | 5.3 |
| 24.00 | 173 | სალამანკა-ელჩე | 1.75 | 2.8 | 5.0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 167 | ლეგანესი-ატლეტიკო | 3,5 | 2,8 | 2,1 |
| 21.00 | 165 | ეიბარი-ხიმნასტიკი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 21.00 | 168 | რასინგი-სერესი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 21.00 | 169 | ბურგოსი-ესტრემადურა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 172 | ლევანტე-მურსია | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 21.00 | 174 | სპორტინგი-ალბასეტე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 22.00 | 170 | საენი-ოვიედო | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 22.00 | 175 | ბადახოსი-ნუმანსია | 2,4 | 2,7 | 3,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. V ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 177 | ბოავიშტა-ლეირია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 178 | ბოავიშტა-ლეირია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 24.00 | 179 | ბენფიკა-პორტუ | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 180 | ფერეირა-ფარენსე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 21.00 | 181 | სეტუბალი-ბეირა მარი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 21.00 | 182 | სანტა კლარა-გიმარაეში | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 01.00 | 183 | სალგეიროში-ბრაგა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 184 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 01.00 | 185 | მარიტიმუ-ალვერკა | 1,9 | 3,0 | 3,8 |

### პორტუგალია. II ლიგა. V ტური.

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 186 | ნავალი-პენაფიელი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 187 | მორეირენსე-ოლივეირენსე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 188 | ნასიონალი-პორტიმონენსე | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 189 | შავეში-ლეცა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 190 | ესპინიუ-რიუ ავე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 191 | ამადორა-ლამაში | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 192 | ავეში-მაია | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 01.00 | 193 | აკადემიკა-კამპომაიორენსე | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. V ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 195 | ბრედა-პსვ | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 23.00 | 196 | ვიტესი-სპარტა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 197 | ვიტესი-სპარტა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 198 | ფეიენოორდი-გრააფსხაპი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 199 | ფეიენოორდი-გრააფსხაპი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 200 | ვალვაიკი-ჰერენვენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 201 | აიაქსი-ალკმაარი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 202 | აიაქსი-ალკმაარი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.30 | 203 | დენ ბოსხი-ნაიმეგენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 17.30 | 204 | გრონინგენი-ტვენტე | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 17.30 | 205 | უტრეხტი-როდა | 2,0 | 3,3 | 3,2 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. V ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 214 | ჰერაკლესი-ეინდჰოვენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 215 | იგლსი-ოსი | 1,7 | 3,4 | 4,0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 216 | ვოლენდამი-ექსელსიორი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

### ბელგია. I დივიზიონი. V ტური.

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 217 | ლიერსი-ანდერლეხტი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 23.00 | 218 | მოლენბეკი-სტ. ტრუიდენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 219 | გენტი-ბევერენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 220 | გენტი-ბევერენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 221 | ლომელი-ლოკერენი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 23.00 | 222 | ბეერსხოტი-გენკი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 223 | აალსტი-ანტვერპენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 21.00 | 224 | ბრიუგე-ლუვეო | 1,15 | 6.0 | 12.0 |
| | 225 | ბრიუგე-ლუვეო 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 23.00 | 226 | სტანდარდი-მუსკრონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 227 | სტანდარდი-მუსკრონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 228 | შარლერუა-ვესტერლო | 1,85 | 3,2 | 3,6 |

**ბელგია. II დივიზიონი. V ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 229 | გეელი-რონსე | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 22.30 | 230 | მონსი-ინგელმუნსტერი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 231 | მეხელენი-სერკლი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 232 | მეხელენი-სერკლი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 233 | პატრო-რუსელარე | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 234 | ჰეუსდენი-ვირტონი | 1,8 | 3,0 | 4,2 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 235 | ვისეტი-დენდერლეუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 236 | სტრომბეკი-ლაინცე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.00 | 237 | ტინენი-ლიეჟი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 238 | ფლაანდერენი-დესელი | 2,2 | 3.1 | 3,0 |

**ჩეხეთი. VII ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 240 | სპარტა-ჟიჟკოვი | 1.4 | 3.8 | 7.0 |
| | 241 | სპარტა-ჟიჟკოვი 0:1 | 1.95 | 3.2 | 2.4 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 242 | ტეპლიცე-ჰ. კრალოვე | 1.5 | 3.5 | 6.0 |
| 19.30 | 243 | სინოტი-იაბლონეცი | 1.8 | 3.1 | 4,0 |
| 19.30 | 244 | ბლშანი-დრნოვიცე | 1,8 | 3.1 | 4,0 |
| 19.30 | 245 | ლიბერეცი-სიგმა | 1,75 | 3.2 | 4.0 |
| 19.30 | 246 | ოპავა-პრჟიბრამი | 2,4 | 3,0 | 2.7 |

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 247 | ბოჰემიანსი-სლავია | 2.9 | 3.0 | 2,3 |

**პოლონეთი. VIII ტური. „ა" ჯგუფი.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 251 | ზაგლებე-ვიძევი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 254 | გურნიკი-პოლონია | 2,5 | 3.0 | 2,0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 252 | ვისლა-ოსტროვეცი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 253 | ვისლა-ოსტროვეცი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**„ბ" ჯგუფი.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 255 | სტომილი-რუხი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.30 | 256 | პოგონი-რადომსკო | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 257 | გროცლინი-ამიცა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.30 | 258 | ლეგია-შლიონსკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 259 | ლეგია-შლიონსკი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2.4 |

**თურქეთი. V ტური.**

**14 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 260 | ბეშიქთაში-ისთანბული | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 261 | ბეშიქთაში-ისთანბული 0:1 | 2.0 | 3.2 | 2,3 |

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 262 | მალათია-გალათასარაი | 6,5 | 4.0 | 1,4 |
| 21.00 | 263 | ბურსა-დიარბაქირი | 1.75 | 3.2 | 4.0 |
| 21.00 | 264 | ფენერბაჰჩე-იოზგათი | 1,25 | 5.0 | 9,0 |
| | 265 | ფენერბაჰჩე-იოზგათი 0:1 | 1,7 | 3.2 | 3,2 |
| 21.00 | 266 | ანთალია-დენიზლი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 267 | გიოზთეფე-ანკარაგუჯუ | 2.3 | 3,1 | 2.8 |
| 21.00 | 268 | ტრაბზონი-სამსუნი | 1.35 | 4.0 | 7,5 |
| | 269 | ტრაბზონი-სამსუნი 0:1 | 1.9 | 3.2 | 2,6 |
| 21.00 | 270 | გაზიანთეფი-რიზე | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 271 | გაზიანთეფი-რიზე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2.3 |
| 21.00 | 272 | გენჩლერბირლიგი-კოჯაელი | 2,1 | 3,1 | 3.2 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. VII ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 273 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 274 | სტ. ჯონსტონი-ლივინგსტონი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.35 | 275 | დანდი-სელტიკი | 5,6 | 3,6 | 1,5 |

**16 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 276 | რეინჯერსი-მოზერუელი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 277 | რეინჯერსი-მოზერუელი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 278 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 279 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1,55 | 3,5 | 5,3 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. VI ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 280 | ერდრი-ფოლკირკი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 281 | ეარი-სტ. მირენი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 282 | პარტიკი-კლაიდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 283 | რეითი-არბროთი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 284 | როსი-ინვერნესი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. VI ტური.**

**15 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 285 | ალოა-კლაიდბენკი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 19.00 | 286 | კოუდენბითი-ქუინი | 2,9 | 3,4 | 2,1 |
| 19.00 | 287 | მორტონი-ფორფარი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 19.00 | 288 | სტენჰაუსმუირი-ჰამილტონი | 2,1 | 3,4 | 2,9 |
| 19.00 | 289 | სტრანრარი-ბერიკი | 1,6 | 3,6 | 4,4 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. VI ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 290 | დამბარტონი-ალბიონი | 1,55 | 3,8 | 4,7 |
| 19.00 | 291 | ისტ სტირლინგი-პიტერჰედი | 2.2 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 292 | ელგინი-ისტ ფაიფი | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 19.00 | 293 | მონტროუზი-სტირლინგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 294 | ქუინზ პარკი-ბრეჩინი | 3,8 | 3,5 | 1.7 |

**ავსტრია. XI ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 295 | ადმირა-ბრეგენცი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.15 | 296 | ავსტრია-ზალცბურგი | 1,85 | 3,0 | 4,0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 297 | რიდი-კერნტენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 298 | ტიროლი-გრაცერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 299 | შტურმი-რაპიდი | 1,65 | 3,4 | 4,4 |

**შვეიცარია. „ა" ჯგუფი. XI ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.45 | 301 | ციურიხი-სიონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 302 | აარაუ-ლუგანო | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 303 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.30 | 304 | ბაზელი-ლუცერნი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 305 | ლოზანა-სერვეტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 306 | სტ. გალენი-იანგ ბოისი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**შვეიცარია. „ბ" ჯგუფი. XIII ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 307 | კარუჟი-ვილი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 308 | კრინსი-კონკორდია | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.30 | 309 | ვინტერთური-დელემონი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 22.30 | 310 | ბელინცონა-ივერდონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.30 | 311 | თუნი-ლოკარნო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 312 | ვადუცი-ბადენი | 2,3 | 3,1 | 2.8 |

**დანია. VIII ტური.**

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 314 | ლიუნგბიუ-ორჰუსი | 1,6 | 3,6 | 4.4 |
| 18.00 | 315 | ოდენსე-ფაბლემისკი | 2,3 | 3.2 | 2,7 |
| 18.00 | 316 | სილკებორგი-ოლბორგი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 18.00 | 317 | ვიბორგი-ესბიერგი | 1.7 | 3.3 | 4,2 |
| 20.05 | 318 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1.9 | 3.3 | 3,4 |

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 319 | ვაილე-მიდტიულანდი | 2.5 | 3,2 | 2,4 |

**რუსეთი. XXIV ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 323 | ლოკომოტივი-ცსკა | 1,8 | 3.1 | 4.0 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 320 | ფაკელი-როსტსელმაში | 2.0 | 3.1 | 3,4 |
| 16.00 | 321 | სატურნი-ზილი | 1,5 | 3.5 | 6,0 |
| 16.00 | 322 | ალანია-სოკოლი | 1.85 | 3.1 | 3.8 |
| 16.00 | 324 | დინამო-როტორი | 1.65 | 3.1 | 5,3 |
| 16.00 | 325 | ანჟი-ზენიტი | 2.5 | 3,0 | 2,5 |
| 16.00 | 326 | ტორპედო-ჩერნომორეცი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 327 | ტორპედო-ჩერნომორეცი 0:1 | 1.8 | 3.3 | 2,8 |

**შვედეთი. XX ტური.**

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 329 | ჰეკენი-იორებრო | 2.3 | 3,1 | 2.8 |
| 20.00 | 330 | ჰამარბი-ელფსბორგი | 1,55 | 3,6 | 5.0 |
| 20.00 | 331 | ტრელებორგი-სუნდსვალი | 1,95 | 3.2 | 3,4 |

**17 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 332 | ჰელსინგბორგი-ჰალმსტადი | 1,85 | 3.2 | 3.6 |
| 22.00 | 333 | გიოტებორგი-მალმიო | 1.7 | 3,3 | 4,2 |
| 22.00 | 334 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 2.3 | 3.1 | 2,8 |

**ნორვეგია. XXII ტური.**

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 335 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 2.5 | 3.0 | 2.5 |
| 19.00 | 336 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1.9 | [illegible] | 3,4 |
| 19.00 | 337 | ლინი-მოლდე | 2.6 | 3.1 | 2.4 |
| 19.00 | 338 | სოგნდალი-მოსი | 2.3 | 3,2 | 2.7 |
| 19.00 | 339 | სტაბეკი-ბრანი | 2.3 | 3.1 | 2.8 |
| 19.00 | 340 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსიო | 2.0 | 3.3 | 3.2 |

**ფინეთი. XXX ტური.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 345 | ატლანტისი-კუოპიო | 1.7 | 3,3 | 4,2 |
| 20.30 | 346 | ლაჰტი-მიუპა | 3.4 | 3,3 | 1.9 |

**16 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 347 | ჰაკა-ვაასა | 1.35 | 4.0 | 7,5 |
| | 348 | ჰაკა-ვაასა 0:1 | 1.9 | 3.3 | 2.5 |
| 20.30 | 349 | ჰიკ-იოკერიტი | 1.4 | 3.8 | 7.0 |
| | 350 | ჰიკ-იოკერიტი 0:1 | 2,0 | 3.2 | 2.3 |

**შესარჩევი მატჩები.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 580 | ტაილანდი-საუდეთი | 3,1 | 3.0 | 2,2 |
| 15.30 | 581 | ჩინეთი-უზბეკეთი | 1.45 | 3.6 | 6,5 |

**იუნიორთა (17 წლამდე) მსოფლიოს ჩემპიონატი.**

**15 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 586 | ომანი-ესპანეთი | 9.0 | 5.0 | 1.25 |
| 01.30 | 587 | არგენტინა-ბურკინა ფასო | 1.35 | 4.0 | 7.5 |
| 23.00 | 588 | მალი-პარაგვაი | 3,6 | 3.3 | 1,8 |
| 01.30 | 589 | ირანი-კოსტა რიკა | 2.7 | 3.0 | 2.4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 სექტემბერი.** | | | | | | | | | |
| 18.30 | 757 | ბაიერნი-ფრაიბურგი | 1,6 | 15.0 | 30.0 | 3,2 | 6,0 | 12,0 | 22,0 | 11,0 | 12,0 |
| 18.30 | 758 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 5,0 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 759 | ნიურნბერგი-კაიზერსლაუტერნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 760 | ვერდერი-კიოლნი | 2,6 | 11,0 | 22,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.30 | 761 | ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 5,0 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 762 | ლევერკუზენი-ზტ. პაული | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 6,0 | 12,0 | 22,0 | 11,0 | 12,0 |
| 18.30 | 763 | შალკე-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 16.00 | 764 | ევერტონი-ლივერპული | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 5,0 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 19.00 | 765 | ბოლტონი-საუთჰემპტონი | 2,4 | 12,0 | 24,0 | 3,8 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 19.00 | 766 | დერბი-ლესტერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 767 | ფულემი-არსენალი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 5,0 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 19.00 | 768 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 19.00 | 769 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 5,0 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 23.30 | 770 | იუვენტუსი-კიევი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 6,0 | 12,0 | 22,0 | 11,0 | 12,0 |
| 21.00 | 784 | ბეტისი-რეალი | 5.6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 5,0 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 21.00 | 787 | დეპორტივო-ბილბაო | 1,9 | 12,0 | 24,0 | 3,6 | 5,3 | 11,0 | 22,0 | 11,0 | 11,0 |
| 21.00 | 788 | მალიორკა-ალავესი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 21.00 | 791 | ოსასუნა-ბარსელონა | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 5,3 | 4,0 | 24,0 | 12,0 | 2,5 |
| | | **16 სექტემბერი.** | | | | | | | | | |
| 20.30 | 771 | ჰერტა-მიუნხენი | 2,4 | 12,0 | 24,0 | 3,6 | 5,3 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.30 | 772 | ჰანზა-კოტბუსი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 773 | ტოტენჰემი-ჩელსი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.00 | 774 | ჩარლტონი-ლიდსი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 19.00 | 775 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 2,6 | 11,0 | 22,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10.0 | 6,5 |
| 20.00 | 776 | იფსვიჩი-ბლექბერნი | 2,6 | 11,0 | 22,0 | 4,0 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 777 | ბოლონია-პარმა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 778 | ბრეშა-ლეჩე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 779 | ფიორენტინა-ატალანტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 780 | ინტერი-ვენეცია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 24,0 | 12,0 | 14,0 |
| 18.00 | 781 | ლაციო-ტორინო | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,6 | 12,0 | 22,0 | 11,0 | 12,0 |
| 18.00 | 782 | პიაჩენცა-რომა | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 783 | ვერონა-პერუჯა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.30 | 794 | უდინეზე-მილანი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 21.00 | 785 | მალაგა-ვალიადოლიდი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 21.00 | 786 | ვალენსია-ლას პალმასი | 1,9 | 12,0 | 24,0 | 3,6 | 5,3 | 11,0 | 22,0 | 11,0 | 11,0 |
| 21.00 | 789 | სოსიედადი-სელტა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | 790 | ტენერიფე-ვილიარეალი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | 792 | რაიო-სარაგოსა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 21.00 | 793 | ესპანიოლი-სევილია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

**ტურში გატანილი გოლები**

**15 სექტემბერი**

**18.30 701 გერმანია (მე-6)**

25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9

**15 სექტემბერი**

**16.00 702 ინგლისი (მე-5)**

25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9

**15 სექტემბერი**

**20.15 703 საფრანგეთი (მე-7)**

22 და ნაკლები - 1,9; 24 და მეტი - 1,9

**15 სექტემბერი**

**23.30 704 იტალია (მე-3)**

23 და ნაკლები - 1,9; 25 და მეტი - 1,9

**15 სექტემბერი**

**23.00 705 ესპანეთი (მე-3)**

25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9

**14 სექტემბერი**

**01.00 706 პორტუგალია (მე-5)**

22 და ნაკლები - 1,9; 24 და მეტი - 1,9

**14 სექტემბერი**

**23.00 707 ჰოლანდია (მე-5)**

25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9

**15 სექტემბერი**

**21.00 708 ბელგია (მე-5)**

26 და ნაკლები - 1,9; 28 და მეტი - 1,9

**14 სექტემბერი**

**19.30 709 ჩეხეთი (მე-7)**

19 და ნაკლები - 1,9; 21 და მეტი - 1,9

**14 სექტემბერი**

**22.00 710 პოლონეთი (მე-8)**

19 და ნაკლები - 1,9; 21 და მეტი - 1,9

**14 სექტემბერი**

**22.00 711 თურქეთი (მე-5)**

24 და ნაკლები - 1,9; 26 და მეტი - 1,9

## შპს „კროკოს" ადმინისტრაცია

# გაფრთხილებთ!

ფოთში, მისამართზე რკალი 5, მუშაობს თვითმარქვია ტოტალიზატორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შპს „კროკოსთან". შესაბამისად, შპს „კროკო" აღნიშნული თვითმარქვია ტოტალიზატორის მუშაობაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს და შესაძლო პრეტენზიებს არ განიხილავს. ფოთში დღესდღეობით „კროკოს" ბიურო არ არსებობს. არალეგალური საქმიანობა ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შპს „კროკოს" ადმინისტრაცია კომპეტენტურ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავს.

ვუელტა 2001

# მეექვსე პირველს ორეულით დაემსგავსა

**დევიდ მილარი** მშვენიერი ინდივიდუალისტია, ანუ მრბოლი, რომელიც ინდივიდუალურ რბოლებში კარგად გამოდის და ძირითადად მხოლოდ ასეთ ეტაპებზე იმარჯვებს. მისი ტიპის მრბოლები არიან ლენს არმსტრონგი, იან ულრიხი, აბრაამ ოლანო... თუმცა არმსტრონგი და ულრიხი მთებშიც ჩინებულად დადიან და ხშირად ისეთ მთიელებსაც ჯაბნიან, როგორებიც მარკო პანტანი და რიშარ ვირანკი არიან. ამიტომაც იგებენ ისინი დიდ-დიდ ტურნირებს.

მილარს კი აქამდე თავი მათ დარად ვერ გამოეჩინა, მხოლოდ ერთხელ, წლევანდელ „სარტის წრეზე" მოიგო მან ჯგუფური რბოლა და მერე საბოლოოდ შეჯიბრიც მისი გამარჯვებით დასრულდა, რადგან ინდივიდუალურ რბოლებში იქ ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა.

შოტლანდიელმა „ვუელტას" მეექვსე ეტაპი მოიგო და თან როგორ. შეუტია კიდეც და გზად მთებიც ყოჩაღად დაძლია, ბოლოს კი სპრინტში კოლუმბიელი სანტიაგო ბოტერო დაჩაგრა.

ჰოდა, ამდენი რატომ ვილაპარაკეამის შემხედვარეს აზრად მომივიდა, ეგებ მალე მილარი დიდ ძალადაც იქცეს-მეთქი, მაგრამ ამას ასე უცებ ვერ გავიგებთ, დაცდა მოგვიწევს. ისე, არ არის გამორიცხული, უკვე ამ „ვუელტაზე" შეძლოს სკოტმა სამი დღის განმავლობაში ნაცვამი ოქროსფერი მაისურას დაბრუნება.

ისე, საინტერესოა, რომ მილარმა ამჯერადაც ბოტერო დატოვა ხახამშრალი, ისევე როგორც პირველ ეტაპზე და ახლაც სულ მცირედით აჯობა. ტურნირის დასაწყისში სამხრეთამერიკელმა ოდენ ერთი წამით მეტი მოანდომა ინდივიდუალური რბოლისას გზის გავლას, ვიდრე ბრიტმა.

ოთხშაბათს პირველი მთიანი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში ოსკარ სევილია დაწინაურდა და ხუთშაბათს მოსალოდნელი იყო, რომ მისი „კელმე" ოქროსფერ მაისურას გაავებით დაიცავდა. ასეც მოხდა.

კელმეელები რბოლის უმეტესი ნაწილი პელოტონის სათავეში იდგნენ და ისეთი სიჩქარით მიაქროლებდნენ ველოებს (საშუალოდ 53 კმ/სთ), იერიშის მცდელობა არავის მოსვლია თავში. თუმცა ასეთ დატვირთვას დიდხანს ვერავინ გაუძლებს და ამიტომაც დაახლოებით საათნახევრის შემდეგ პელოტონის სიჩქარემაც ნელ-ნელა კლება იწყო.

დღის პირველი დაბრკოლების ოსის მთის მიახლოებისას ორმა მრბოლმა შეძლო, მთავარ ჯგუფს დასხლტომოდა და დაწინაურებულიყო. ესპანელი გარსია და გერმანელი ლუდვიგი ხუთწუთიან უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ მათ 70 კილომეტრის შემდეგ დაეწივნენ დელ ალტო დე სან სიპრიანოს მთის მისადგომებთან.

ეს იყო და „კელმემ" ისევ ძლიერ გაზარდა ტემპი. ოღონდ მას ამჯერად „ონსეც" ეხმარებოდა. მთავარი დაზარალებულები მარკო პანტანი და ალექს ცულე აღმოჩნდნენ, რადგან მთავარ ჯგუფს მალევე ჩამორჩნენ. რიშარ ვირანკმა კი, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მიყოლა შეძლო. მან ხომ დისკვალიფიკაცია მოიხადა და თავისი საუკეთესო სპორტული ფორმიდან ძალიან შორსაა. ფრანგმა შეტევაც კი სცადა, მაგრამ ეგ უკვე ზედმეტი იყო და მალევე დამშვიდდა.

სამაგიეროდ, დევიდ მილარის იერიში უფრო წარმატებული გამოდგა. შოტლანდიელს თავისი თანაგუნდელი ინიგო კუესტა, ბოტერო, მასიმო კოდოლი, მიკელ სარაბეიტია და ლუის პერესი მიჰყვნენ.

მალე კოფიდისელმა ხელმეორედ ააჩქარა თავისი რკინის ბედაური და ამჯერად მისი ტემპის გაძლება ოდენ ბოტერომ შეძლო. კოლუმბიელი ერთხანს შეტევის კომპანიონს არ ეხმარებოდა, აქაოდა, ოქროსფერი მაისურა ჩემიანს აცვია და არ დავაკარგვინოო, მაგრამ მერე ეტყობა სპორტულმა დირექტორმა ურჩია, საერთო ჩათვლაში მილარს შენ უსწრებ და თუ ლიდერობას სევილია დაკარგავს, შენ გადაიბარებო და ბოტერომაც აიშვა.

ამ შეხმატკბილებული დუეტის დაწევა ველარავინ შეძლო და მათაც ეტაპის ბედი ერთმანეთში გაითამაშეს. სკოტმა საკმაოდ ადრე ფსევდო-სპრინტი წამოიწყო და მეტოქე ანკესზე წამოაგო. კოლუმბიელმა აუჩქარა და მილარს გაასწრო, რომელმაც მალევე დაიბრუნა პირველობა და გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგო.

პელოტონი 58 წამის დაგვიანებით მივიდა ფინიშზე. სპრინტში ერიკ ზაბელმა აჯობა ყველას. ტორელავეგაში დაბადებული 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ოსკარ ფრეირე კი თავისიანების თვალწინ ოდენ მეოთხეობას დასჯერდა.

**გაგი გურული**

**მეექვსე ეტაპი**

კანგას დე ონისი — ტორელავეგა, 180,6 კმ

1. დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი, კოფიდისი) 4სთ 02წთ 36წმ
2. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) იგივე დრო
3. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) +58წმ
4. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, მაპეი) +58
5. ანხელ ბერდიგიერო (ესპანეთი, კანტინა ტოლო) +58

**საერთო ჩათვლა**

1. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) 19სთ 25წთ 43წმ
2. ხოსე მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +15
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +35
4. დავიდ პლასა (ესპანეთი, ფესტინა) +59
5. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) +1წთ 06



ოსკარ სევილიას ოქროსფერი მაისურასთვის მეორე დღეა ოქროგოგოები კოცნიან



# ამერიკაში მშვიდობაა


ევგენი კაფელნიკოვს ტაშკენტში დიდი ჯაფა ადგას

**ტაშკენტი (უზბეკეთი) პრეზიდენტის თასი ჰარდი. საპრიზო 550 ათასი $**

„პრეზიდენტის თასს" შემორჩენილ ერთადერთ ადგილობრივ ვაიმეჩოგნეს, ოლეგ ოგოროდოვს დანიელ კრისტიან პლესთან ჭიდილში ტაშკენტურმა ხვატმა და სრულიად უზბეკი ერის მხარდაჭერამაც ვერ უშველა. წლეულს თავის პირველ ტურნირში მონაწილეობა „პრეზიდენტის თასზე" უაილდ ქარდით დაშვებულმა ოგოროდოვმა რიხით კი დაიწყო, როცა პირველ წრეში ამ ტურნირის შარშანდელი ფინალისტი დავიდე სანგვინეტი წააქცია, მაგრამ ამაზე შორს ველარ წავიდა. მისმა მეტოქემ, დანიელმა კრისტიან პლესმა ლამის ხელის ერთი გაქნევით, 6:3, 6:2 იმარჯვა და უზბეკებისთვის ტურნირს აზრი დაუკარგა.

კვლავ გაუჭირდათ ეტაპის დაძლევა რუს ფავორიტებს — ევგენი კაფელნიკოვს და მარატ საფინს. ჟენია ავსტრიელ სტეფან კუბეკს ხვდებოდა და იმ დროს სხვაგან ყოფნას ნატრობდა. მეტოქეზე ნაკლებად ცნობილმა და ხელმარჯვე კუბეკმა მშვენივრად დაიწყო რუსთან ჭიდილი, პირველივე მოწოდება აართვა სოჭელ ჟენიას, ხოლო საკუთარი ყველა შეინარჩუნა. ამდენად, პირველი სეტიც მას დარჩა — 6:4. არც მეორეს უჩანდა კარგი პირი კაფელნიკოვისთვის, ავსტრიელი 4:2 იგებდა. მის ადგილზე მაღალი დონის მოთამაშე ამ შეხვედრას უთუოდ გამარჯვებამდე მიიყვანდა, გამოიყენებდა რუსის ცნობილ მერყევ ფსიქოლოგიას, თუმც კუბეკმა ეს ვერ მოახერხა. ათასობით უზბეკი მაყურებლის წინაშე რუსული ლანძღვა-გინება კაფელნიკოვმა ასე მეორე სეტის შუაწელს შეწყვიტა, საკუთარ თავს შეუძახა და 2:4 ჩამორჩენის შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო, გადამწყვეტ მესამე სეტში კი აშკარად დაჩაგრა მეტოქე.

პირველ ნომრად განთესილმა მარატ საფინმა მეორე წრის გავლა ორ სეტში შეძლო, თუმც არც მას ულხინდა. უწინ ოცეულის მკვიდრის, აწ კი კლასიფიკაციის სადღაც ასეულის ბოლოში დაფუძნებული ახმახი შვეიცარიელის, მარკ როსეს ყუმბარისებურ დარტყმებთან გამკლავება ერთობ უჭირდა ამ ტურნირის შარშან მომგებ რუსს. როსემ მეორე სეტი ტაი-ბრეიკში გადაიყვანა და მარატთან ჯაჯგური იქ განაგრძო. საფინმა მაინც იმარჯვა ტაი-ბრეიკში — 7:3.

**მეორე წრე. მარატ საფინი (1, რუსეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:4, 7:6 (7:3); ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — სტეფან კუბეკი (ავსტრია) 4:6, 6:4, 6:3; კრისტიან პლესი (დანია) — ოლეგ ოგოროდოვი (უზბეკეთი) 6:3, 6:2; რაინერ შუტლერი (გერმანია) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:1.**

**ბუქარესტი (რუმინეთი) „გოლსორ ოუფენი" თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $**

ტაშკენტისა არ იყოს, არც ბუქარესტში წაუვიდათ საქმე კარგად ადგილობრივ ჩოგბურთელებს. პირველ ნომრად განთესილ, რუმინელთა სიამაყე ანდრეი პაველისთვის მისწრება იქნებოდა, თანამემამულეთა თვალწინ გამოეჩენა თავი და უსათუოდ ჩემპიონობას ეშურებოდა, მაგრამ მისი ვარდისფერი ოცნება უკვე მეორე წრეში გაახუნა მავანმა გერმანელმა ტომას ბეჰრენდმა. გამარჯვებას ვინ ჩივის, პაველი იმასლა ნატრობდა, ღირსეულად წაეგო. არც ეს გამოუვიდა — 0:6, 2:6 განადგურდა. მასზე გაცილებით ღირსეულად დატოვა ტურნირი კიდევ ერთმა ფავორიტმა, მეორე ნომრად განთესილმა ესპანელმა ალბერტ პორტასმა. მან სამი სეტი გაუძლო თანამემამულე სეხნიას, მონტანესს.

**მეორე წრე. ტომას ბეჰრენდი (გერმანია) — ანდრეი პაველი (1, რუმინეთი) 6:0, 6:2; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — ალბერტ პორტასი (2, ესპანეთი) 6:4, 4:6, 7:6 (9:7); იუნეს ელ აინაუი (7, მაროკო) — ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 6:3, 6:2; ხუან ბალსელსი (8, ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:3, 6:4; ადრიან ვოინეა (რუმინეთი) — რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი) 6:3, 6:2; ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 6:3, 6:3.**

**სალვადორი. ბრაზილიის ღია პირველობა (ვაჟები). თიხნარი საპრიზო. 375 ათასი $**

**მეორე წრე. რიკარდო მელო (ბრაზილია) — ნიკოლას მასუ (4, ჩილე) 1:6, 7:6 (7:4), 6:3; ფერნანდო მელიგენი (5, არგენტინა) — ფედერიკო ბროუნე (არგენტინა) 7:5, 6:4; რამონ დელგადო (პარაგვაი) — სესილ მამიტი (აშშ) 6:3, 6:4; ალექსანდრე სიმონი (ბრაზილია) — ფედერიკო გონსალესი (ჩილე) 6:0, 1:1 (შეწყდა).**

**სალვადორი. ბრაზილიის ღია პირველობა (ქალები). თიხნარი საპრიზო 100 ათასი $**

ბრაზილიის მცხუნვარე ქალაქ სალვადორში ქვეყნის ღია პირველობის ოქროსთვის ვაჟებთან ერთად ქალებიც იბრძვიან. თუ ძლიერი სქესის წარმომადგენლებში ფავორიტთა დიდი ნაწილი უკვე დაემშვიდობა ტურნირს, ქალებს ჯერაც შემორჩენიათ ბობოლები და მათ შორის ერთობ ძუნწად ჩანან სამხრეთამერიკელები. ქალებში საქმე უკვე ნახევარფინალებამდე მისულა. მეოთხედფინალში ავი არაფერი შეემთხვათ უპირველეს ფავორიტებს. პირველ ნომრად განთესილმა მონიკა სელეშმა 6:1, 6:0 დააწიოკა რუსი ტატიანა პანოვა, მეორე ნომერმა, იუგოსლაველმა ელენა დოკიჩმაც თავის მანდილოსნურ კუნთებზე მსუბუქი ძალდატანებით გაიარა მეოთხედფინალი.

**მეოთხედფინალი. მონიკა სელეში (1, აშშ) — ტატიანა პანოვა (8, რუსეთი) 6:1, 6:0; ელენა დოკიჩი (2, იუგოსლავია) — სამანტა რივზი (აშშ) 6:3, 6:2; ჰენრიეტა ნაგიოვა (5, სლოვაკეთი) — ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:4; როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) — სილვია ფარინა-ელია (იტალია) 6:3, 6:2.**

**ვაიკოლოა (ჰავაი, აშშ) თიხნარი. საპრიზო 140 ათასი $**

მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები შიშს და ნგრევას მოუცავს, ქვეყნის ერთ-ერთ შტატ ჰავაის კუნძულებზე სრული სიწყნარეა. იქ არათუ მიმდინარეობს ქალთა საჩოგბურთო ტურნირი, არამედ ერთობ მშვიდობიანადაც. რვა განთესილი გოგონადან მეოთხედფინალს ექვსმა უწია. მარიფათი ვერ გამოიჩინეს გადაბერებულმა ესპანელმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ და ამერიკელმა ემი ფრეზერმა.

**მეორე წრე: ჟუსტინ ენენი (1, ბელგია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1, 6:4; სანდრინ ტესტიუ (2, საფრანგეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:3, 6:3; ლაიზა რეიმონდი (4, აშშ) — ჯანეტ ლი (ტაივანი) 6:1, 6:2; მეგანა ირვინი (აშშ) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი) 6:3, 6:2; ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) — ემი ფრეზერი (5, აშშ) 6:1, 6:3; მარლენ ვაინგარტნერი (6, გერმანია) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 6:1; მეილინ ტუ (7, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 7:6 (8:6), 6:7 (3:7), 7:6 (7:2); ლილია ოსტერლო (8, აშშ) — ადრიენ ჰეგედიუში (უნგრეთი).**

**ირაკლი ფირუზიშვილი**


არანჩა სანჩეს-ვიკარიო ბრაზილიიდან აბარგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბლიცი ექსჩემპიონთან

**გუშინ** 8 საათისთვის აჭარის წარმომადგენლობაში ალბათ ყველა დროის ყველაზე საპატიო სტუმარს ელოდნენ. მას არც დაუგვიანია. გარი კასპაროვი მანამდე საქართველოს პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან თვითმფრინავმა 3 საათით დაიგვიანა. მსოფლიოს ჩემპიონი და მისი ამალა ბათუმისკენ მიემართებიან, რომელსაც მეორე მხრიდან მოადგებიან მსოფლიოს ქალთა ჩემპიონი სიუ ჟუნი და სხვა ძლიერნი, რათა კვირიდან ერთობ გრანდიოზულ მატჩს შეუდგნენ — ევროპა აზიის წინააღმდეგ.

ევროპელ ვაჟთა ნაკრების უპირობო ლიდერს, კასპაროვს, აჭარის წარმომადგენლობაში აზლდნენ დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი, ახალგაზრდა (23 წლის) ვიეტნამელი დიდოსტატი დაო თჰიენ ჰაი, ევროპის ნაკრების კაპიტანი, ქართველების სიძე ალექსანდერ ფონ გლაიხი, კიდევ რამდენიმე პერსონა და მათ შორის, როგორც ყველგან და ყოველთვის, დედა კლარა კასპაროვა და მწვრთნელი იური დოხოიანი.

პიანინოსა და ვიოლინოს ჰარმონიული ჰანგების ფონზე კასპაროვს ტაშით შეხვდნენ და შემდეგ მეტად ნაჩქარევად ორიოდ კაცი გამოვიდა. მათგან გამოსარჩევი, ცხადია, თვით კასპაროვის ნათქვამი გახლდათ.

„მიხარია, აქ რომ ვარ — განაცხადა მსოფლიოს ექსჩემპიონმა და ამის მიუხედავად, უდავოდ ნომერ პირველმა მოჭადრაკემ — საქართველოში მარტო ბავშვობისას ვარ ნამყოფი, ხოლო დიდობაში არცერთხელ, ამიტომ ეს ვიზიტი ჩემთვის საჭადრაკო სიყმაწვილეში დაბრუნებაა. მიხარია ისიც, რომ დიდი საჭადრაკო ტრადიციების მქონე ქვეყნის ხელახალი აღორძინების მომსწრე ვარ და ამ საქმეში წვლილი შემაქვს“.

კასპაროვი სულ რამდენიმე წუთში



**გარი კასპაროვი, მანუჩარ მაჩაიძე, ნონა გაფრინდაშვილი და ზურაბ აზმაიფარაშვილი**

პრეზიდენტთან გააქანეს, მისი თანამგზავრების უმეტესობა დარჩა. ჩემპიონს მობრუნება მრავალმა სთხოვა და ისიც შეგვპირდა. მანამდე სხვებთან საუბარი ვცადე.

კლარა კასპაროვა ჟურნალისტებს მაინცდამაინც არ სწყალობდა, ამიტომ რესპონდენტად იური დოხოიანი ავირჩიე. იგი ციმბირელი სომეხია, 1964 წელს დაბადებული, დიდოსტატი 1988 წლიდან და ბოლო 7 წლის მანძილზე კასპაროვის უცვლელი მწვრთნელი.

**— ძნელია კასპაროვის მწვრთნელობა?**

— ჩვეულებრივი სამუშაოა, ხან ძნელი, ხან ადვილი.

**— მე ვიგულისხმე, გადატვირთული გრაფიკი ხომ არ გაქვთ-მეთქი...**

— დღეში საშუალოდ რვა საათს ვმუშაობთ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ღამეების გათენება გვიწევს. აი, მაგ დროს მაგრად ვიღლებით.

**— კასპაროვს ადრე თუ იცნობდით?**

— შორიდან, ჩვენ ერთმანეთს 1994 წლის ოლიმპიადაზე შევხვდით და თანამშრომლობაც იქიდან დავიწყეთ.

**— კასპაროვის ერთადერთი მწვრთნელი ხართ?**

— მუდმივი კი. ხანდახან მასთან დიდოსტატი ალექსანდრ შაკაროვიც მუშაობს, მაგრამ ძირითად საქმეს მე ვაკეთებ.

**— რასაკვირველია, კომპიუტერის დახმარებით...**

— სხვანაირად არ იქნება. მუშაობისას ვიყენებთ თითქმის ყველა განთქმულ საჭადრაკო პროგრამას, მაგალითად, „ფრიცს“, „შრედერს“ და ასე შემდეგ.

**— სწორედ კომპიუტერთან დაკავშირებით: კრამნიკისა და „დიპ ფრიცის“ მომავალ მატჩზე რას იტყოდით? თუნდაც პარალელი გაავლეთ კასპაროვისა და „დიპ ბლუს“ შორის ოთხი წლის წინანდელ ბრძოლასთან.**

— ვიტყოდი, რომ შედარება არ არის. მაშინ კასპაროვს უმძიმეს პირობებში მოუწია თამაშმა. „დიპ ბლუს“ პროგრამულ პაკეტზე არაფერს ვამბობ, პარტიების ამონაბეჭდებსაც არ გვაძლევდნენ, ორი სტაციონარისგან შემდგარ მონსტრივით კომპიუტერს ეთამაშებოდა და პროგრამის ავტორებს მისი გზადაგზა შეცვლის საშუალება ჰქონდათ.

ახლა კი, რამდენადაც ვიცი, კრამნიკი მიიღებს პროგრამის ასლს, რაც უზარმაზარი კოზირია. ფაქტობრივად, პროგრამის მთელი „ტვინი“ და სტრატეგია ხელისგულზე ექნება. მერე: ხომ ორი აზრი არ არსებობს, რომ იმ დროს „დიპ ბლუ“ მოჭადრაკე კომპიუტერების უდავო ლიდერი იყო, მოერივნენ ერთხელ კასპაროვს და საჩქაროდ დაშალეს, ახლა ის მითხარით, „ფრიცი“ რას წარმოადგენს... ის კომპიუტერების მსოფლიოს ჩემპიონიც არ არის, შარშან „შრედერი“ გახდა, წლეულს — „ჯუნიორი“.

**— მაშინ საკითხი ასე დავსვათ: იმ დროის „დიპ ბლუ“ იყო უფრო ძლიერი, თუ ახლანდელი „ფრიცი“? რაც უნდა იყოს, 4 წელი გავიდა...**

— „დიპ ბლუ“, ცალსახად.

**— კრამნიკთან ლონდონში მარცხის გამო თქვენს წილ პასუხისმგებლობას თუ გრძნობთ?**

— რასაკვირველია. იმ მატჩში ჩვენ ყველამ არცთუ საჭირო გზით ვიარეთ, ხოლო კრამნიკი მოწოდების სიმაღლეზე იდგა

**—კასპაროვი ბოლო პერიოდში წლის მეორე ნახევარს, ჩვეულებრივ, მხოლოდ ვარჯიშისთვის იყენებს, ახლა კი მის პროგრამაში ჯერ ბათუმია, მერე კი ბოტვინიკის მემორიალი კარპოვთან და კრამნიკთან ერთად. რამ გამოიწვია ეს ცვლილება?**

— გამოჩნდა ტურნირები და... უფრო ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ლონდონში დამარცხების შემდეგ მასში თამაშის სურვილმა იმატა. უნდა, ყველას დაუმტკიცოს, რომ მსოფლიოში უძლიერესია.

**— თბილისში პირველად ხართ?**

— კასპაროვის არ იყოს, ბავშვობისას აქაურობის ხშირი სტუმარი ვიყავი. მე-8 თუ მე-9 კლასში საქართველოს ღია ჩემპიონატიც მოვიგე, მგონი, ბათუმში ტარდებოდა. მერე და მერე არ ვყოფილვარ.

**—აქტიურ ჭადრაკს გამოეთხოვეთ?**

— რაც კასპაროვის მწვრთნელი ვარ, ამის დრო აღარც მაქვს. ბოლოს გერმანულ ბუნდესლიგაში ვთამაშობდი, ბოხუმის გუნდის პირველ დაფაზე. ალექსანდერ ფონ გლაიხიც, ევროპის ნაკრების კაპიტანი, ჩემს გუნდში იყო. მერე მიხვდა, ჭადრაკი პურს რომ ვერ აჭმევდა და ბანკირი გახდა...

გერმანელი ალექსანდ ფონ გლაიხი, ევროპა — აზიის მატჩისადმი მიძღვნილი ბუკლეტის თანახმად, საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის (MBG) დამფუძნებელია. გავიგეთ, რომ მატჩის სპონსორობაშიც წილი უდევს.

დოხოიანთან ტკბილი ბაასი კასპაროვის მობრუნებამ შეწყვიტა. ექსჩემპიონმა სიტყვა შეასრულა, მობრუნდა სულ რაღაც წუთებით, წაიხემსა და „მიგალკიანი“ მანქანით დატოვა აჭარის წარმომადგენლობა.

დღეს იგი უკვე ბათუმშია.

**დავით გულუა**



**გარი კასპაროვი მეტოქე ნაკრების წევრთან, ვიეტნამელ დიდოსტატ დაო თჰიენ ჰაისთან ერთად**



**კლარა კასპაროვა — ექსჩემპიონის დედა და მენეჯერი**

ნაიდორფის მემორიალი

## კარპოვმა დავიწყებული გაიხსენა

**ანატოლი კარპოვი** გადაეჩვია სოლიდური ტურნირების მოგებას, უკვე წლებია, პირველ ადგილზე არ ყოფილა. უსიამოვნო ტრადიცია მან ბუენოს აირესში, მიგელ ნაიდორფის მემორიალზე დაარღვია, სადაც ბოლო ტურის წინ სამ კაცს ჰქონდა გამარჯვების შანსი: კარპოვს, ბებერ ვიქტორ კორჩნოისა და ნორჩ თეიმურ რაჯაბოვს. ოღონდ პატარა აზერბაიჯანელის ამოცანა ყველაზე რთული იყო — იგი შავებით იუდიტ პოლგარს ხვდებოდა.

მიტელშპილში ბრძოლის შემდეგ რაჯაბოვმა გამსვლელი პაიკი შექმნა, მაგრამ პოლგარმა ლაზიერები გაცვალა და ის პაიკი სისუსტედ იქცა. რაჯაბოვმა პაიკი დათმო, საპასუხოდ კი ორი მოკლა და ეტლების ზედმეტპაიკიანი ენდშპილი მიიღო, სადაც 66-ე სვლამდე წვალობდა პოლგარის გასატეხად, მაგრამ უნგრელი ზუსტი იყო და ყაიმი.

კორჩნოის თითქოსდა ყველაზე კარგი შანსი ჰქონდა. თეთრებით იგი შეხვდა ბუენოს აირესში საშინლად მოთამაშე ჟილბერტო მილოშს და 78 სვლა გააკეთა, მაგრამ მილოშს მაინცდამაინც ბოლო ტურში მოუნდა თავის გაგიჟება და ყაიმი დაიმსახურა.

კარპოვი ადგილობრივ პაბლო რიკარდის ეთამაშა და ძალიან მაღალი კლასი უჩვენა. სადღაც პარტიის შუაში კარპოვმა გააზრებული იერიში მიიტანა შავ ლაზიერზე და იგი მეფის ფრთისკენ გარიყა. მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონის პოზიციური უპირატესობა უცებ გამოიკვეთა. მისი ფიგურები მთელ ლაზიერის ფრთაზე გაბატონდნენ და როცა იქ შავი პაიკები სრულად გაიჟუჟნენ, რიკარდი დანებდა მეტად უიმედო პოზიციაში. კარპოვმა ნაიდორფის მემორიალი მოიგო.

**დავით გულუა**

**საბოლოო ვითარება**

**1. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) 6,5; 2-3. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 6; 4. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) 5; 5-6. სიუ ჟუნი (ჩინეთი), იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) 4,5; 7. რუბენ ფალგაერი (არგენტინა) 4; 8-9. პაბლო რიკარდი (არგენტინა), ენრიკე მეკინგი (ბრაზილია) 3,5; 10. ჟილბერტო მილოში (ბრაზილია) 1,5**

ჩოგბურთი

## ივანიშევიჩს სამშობლოს ვალი აქვს

**ხორვატია** ნამდვილი ევროპაა, ევროპაში კი წესს და წესრიგს პატივს სცემენ. ამ დღეებში ქვეყნის სპორტის სიმბოლოდ ქცეულ, წლევანდელი უიმბლდონის მომგებ ჩოგბურთელ გორან ივანიშევიჩს ხორვატიის ეროვნულ არმიაში სამსახურისთვის დაუძახეს. საქართველოში რომ ცხოვრობდეს, გორანს სულაც არ გაუჭირდებოდა ჯარიდან თავის დახსნა და ეს მის ჯიბეს ძალიანაც არ დაეტყობოდა, მაგრამ იგი ხორვატიის მოქალაქეა და წესს ისევე უნდა დაემორჩილოს, როგორც უბრალო გლეხკაცის ბიჭი. თუმც არა, სპორტსმენებსა და დანარჩენებს შორის მაინც არსებობს განსხვავება. თუ უბრალო მოქალაქე ვალდებულია, 27 წლის შესრულებამდე მოიხადოს ქვეყნის ვალი, სპორტსმენები 30 წლამდე არიან ხელფეხშეკრულნი. ისინი შედიან ეგრეთ წოდებულ „სპორტსმენთა ჯგუფში“ და ჯარში სამსახურს უთავსებენ სპორტულ კარიერას (საინტერესოა, როგორ). ივანიშევიჩს გუშინწინ შეუსრულდა დაბადებიდან 30 წელი.

„გორანი გააგრძელებს სპორტულ კარიერას, ჯარში კი ექვსი თვე იმსახურებს ამ ნოემბრიდან. იგი მაისში გათავისუფლდება და ერთი თვე ექნება უიმბლდონისთვის მოსამზადებლად, სადაც ჩვენ ყველანი ვუქომაგებთ ტიტულის დაცვისას“ — განუცხადა სააგენტო როიტერს ხორვატიის თავდაცვის მინისტრმა.

# შინ დარჩენილი

„პიტსბურგ პაირატსის" ბეისბოლისტთა გუნდი ამ დღეებში ჩიკაგოს ჩაფრინდა სათამაშოდ და იქვე ჩარჩა, რაჯან საჰაერო მიმოსვლა ამერიკაში ჯერაც შეწყვეტილია. პიტსბურგში დარჩენილა გუნდის ერთადერთი მოთამაშე კრის ბენსონი, რომელსაც ტრავმა ჰქონია. სანამ გუნდი ჩიკაგოში იმყოფება, კრისი ნელ-ნელა შედის ფორმაში და სულ მარტოდმარტო ვარჯიშობს ცარიელ „პიენსი პარკის" მინდორზე.





# ვირანქის აბგა

გრძელდება ვუელტა. ეტაპი, კანგას დე ონისსა და ტორელავეგას შორის, 180 კილომეტრზე რომაა დახვეული, ბრიტმა დევიდ მილარმა მოიგო, საერთო ლიდერობას კი ესპანელი ოსკარ სევილია ინარჩუნებს. დისკვალიფიკაციის შემდეგ მოასპარეზე ფრანგი რიშარ ვირანკი (სურათზე) ოცდამეცხრამეტე ადგილზეა. „კოკა კოლას" ლოგოთი დამშვენებულ პატარა აბგაში ვირანკს მცირე საგზალი, საჭმელი და საწუწნი აბები უდევს, რაც 180 კილომეტრზე რბოლისას მართლაც გამოადგება კაცს.

# მონცას წინ

ამ უქმეებზე მონცა აჩმაურდება. იტალიის დიდი პრიზისთვის ამ ჯერზე ფორმულა 1-ის პირველი მალაიზიელი მრბოლი ალექს იონგიც იბრძოლებს, რომელიც „მინარდის" გუნდის წევრია. იონგმა და მიხაელ შუმახერმა ერთად ილაპარაკეს პრესკონფერენციაზე და შუმის არ დაუმალავს თავისი სიმპატიები ამ ყმაწვილის მიმართ.



# ლინდროსი ნიუ იორკში



საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, ამერიკაში ცხოვრება არ შეჩერებულა. სპორტული შეჯიბრებები კი შეწყვეტილია, მაგრამ ვარჯიშები მიმდინარეობს. ახალი სეზონისთვის ემზადებიან ჰოკეის ჩრდილოამერიკული ლიგის გუნდები. „ნიუ იორკ რეინჯერსი" რიის ბანაკში ემზადება რეგულარული ჩემპიონატისთვის. რეინჯერთა მთავარი ახალწვეული ფილადელფიიდან გადმობარგებული ვარსკვლავი ერიკ ლინდროსია, რომელიც წარმატებით გადის ადაპტაციას ახალ გუნდში.



# ბოლივარულად

ეკვადორში გრძელდება ეგრეთ წოდებული ბოლივარის თამაშები, რომლებიც XIV ტარდება. ამ შეჯიბრებაში იმ ქვეყნების სპორტსმენები მონაწილეობენ, რომელთა ბედზეც, თავის დროზე, დიდი გავლენა ჰქონია სიმონ ბოლივარს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების დონე დაბალია. აი, ამ კალსონიანმა კაცმა, ჯონი რომერომ ჭოკით მხტომელთა პაექრობა მოიგო — 4,60 მეტრს გადაახტა. აქვე უნდა ითქვას, რომ ქალთა მსოფლიო რეკორდი, რომელიც ამერიკელ სტეისი დრაგილას ეკუთვნის, 4,81 მეტრია. ასე რომ, ბოლივარი ვერ იამაყებდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge